# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№48 (10051) 2026 წლის 27 აპრილი, ორშაბათი


## ავტომობილი ჩვენი ჯიბის მტერია, უვიცი მძღოლების ჯარი ქვეყნის საერთო ტრაგედიაა!



იხ. 5 გვ.

1 მაისიდან სანქციები და ჯარიმები იზრდება!



12

ივანე ჯავახიშვილის ძველი ბიუსტის ახალი სიცოცხლე



6

## ულირსეულესი ადამიანი, მრავალმხრივი მოღვაწე

პროფესორი რევაზ გოგოხია 90 წლისაა

## ანკარა–თბილისი–ბაქოს ახალი გეოპოლიტიკური კონტურები. რა ხდება კულუარებში?




იხ. 2 გვ.

## კავკასიური სამკუთხედი



იხ. 3 გვ.

## შეფარული მუქარის ენა არ მუშაობს!

ღია წერილი ევროკავშირის ელჩს საქართველოში, ბატონ პაველ ჰერჩინსკის

## როგორ დასრულდება ეს მსოფლიო დამიჭი-გამიშვი?

ტრამპი კვლავ იმუქრება, თუ ისინი შეთანხმებას არ დადებენ, ირანში ყველაფერს ავაფეთქებთ და ნავთობს ხელში ჩავიგდებთ, „გიჟო, ნაძირალებო“, გახსენით ჰორმუზის სრუტეო!..



იხ. 4 გვ.

7



## ბაბლუანების „ფოფოდიას შვილებმა“ საფრანგეთში ჯილდო დაიმსახურა

ვებ.გვერდი: WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE

საქართველოს რესპუბლიკა
„რისკები დაზღვეულია“
№48. ორშაბათი, 27 აპრილი, 2026 წელი

ბოლო კვირების განმავლობაში სამხრეთ კავკასიაში დიპლომატიური აქტივობა პიკს აღწევს. საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის ვიზიტი ანკარაში და აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევის მოულოდნელი სტუმრობა თბილისში მიანიშნებს, რომ რეგიონის სამი მთავარი მოთამაშე „საათებს ასწორებენ“. კულუარებში სულ უფრო ხშირად საუბრობენ ახალი, მჭიდრო „სამეულის“ ფორმირებაზე, სადაც თითოეულ მხარეს საკუთარი, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესი აქვს.




# კავკასიური სამკუთხედი

**აზერბაიჯანული მედია (Azertac, Report.az) ალიევის თბილისში ვიზიტს „სამუშაო, მაგრამ კრიტიკულად მნიშვნელოვანს“ უწოდებს. აზერბაიჯანული ანალიტიკური წრეების მიხედვით, ბაქოსთვის ახლა მთავარია: სომხეთთან სამშვიდობო ხელშეკრულება — ალიევს სჭირდება საქართველო, როგორც ნეიტრალური პლატფორმა მოლაპარაკებებისთვის, რათა გვერდი აუაროს დასავლურ ან რუსულ დიქტატს.**

**შუა დერეფნის (Middle Corridor) დაჩქარება — ყაზახეთიდან წამოსული ტვირთები აზერბაიჯანისა და საქართველოს გავლით ევროპაში უნდა მოხვდეს.**

## რატომ გახდა საქართველო „შეუცვლელი“?

**ქართულ და რეგიონულ მედიაში გაჟღერებული კულუარული ვერსიებით, რამდენიმე სენსიტიური საკითხი განიხილება:**

რუსული ფაქტორი — მოსკოვი აქტიურად ეძებს გზებს თბილისთან დიპლომატიური ურთიერთობების აღსადგენად. კულუარული ინფორმაციით, თურქეთი და აზერბაიჯანი შესაძლოა გამოდიოდნენ გარკვეული „გარანტების“ როლში, რათა საქართველომ რუსეთთან ეკონომიკური კავშირები გააღრმაოს ისე, რომ არ დაზიანდეს მისი სუვერენიტეტი. რუსეთის ინტერესშია ე.წ. „ჩრდილოეთ-სამხრეთის“ მაგისტრალის სრული დატვირთვა.

**უსაფრთხოების ახალი არქიტექტურა — საუბარია იმაზე, რომ სამხრეთ კავკასიის ბედი არა ვაშინგტონში ან ბრიუსელში, არამედ რეგიონშივე უნდა გადაწყდეს. ეს არის ერდოღანის „3+3“ ფორმატის ირიბი გაძლიერება.**

**ანაკლიის პორტი და რკინიგზა — აზერბაიჯანული და თურქული მხარეები დაინტერესებულნი არიან საქართველოს ლოჯისტიკური სიმძლავრეების ზრდით, რადგან არსებული გამტარუნარიანობა მზარდ ტვირთბრუნვას ვეღარ აუდის.**

**შეიძლება ითქვას, რომ შეიქმნა უნიკალური გეოპოლიტიკური მომენტი, როდესაც დასავლეთისთვის საქართველო არის ენერგიის მიღების ერთადერთი გზა, რუსეთის გვერდის ავლით; რუსეთისთვის — იზოლაციის გარღვევისა და სამხრეთისკენ გასასვლელი ფანჯარა, ხოლო თურქეთისა და აზერბაიჯანისთვის — სტრატეგიული ზურგი და ევროპული ბაზრის კარიბჭე.**

სწორედ ამიტომ, **კობახიძის, ერდოღანისა** და **ალიევის** შეხვედრები არა მხოლოდ ფორმალური ვიზიტები, არამედ ახალი რეგიონული „წრის“ შეკვრის მცდელობაა, სადაც საქართველო ცენტრალურ ფიგურად პოზიციონირებს. რუსეთის სურვილი, აღადგინოს დიპლომატიური ხიდები, სწორედ ამ დიდ თამაშში ჩართვის სურვილით არის განპირობებული — მოსკოვს არ სურს, რომ კავკასიის „ახალი მაგისტრალი“ მის გარეშე აშენდეს.

## საქართველო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ყველა მხარისთვის

**ანალიტიკოსი ვახტანგ ძაბირაძე For.ge-თან ამბობს, რომ ნამდვილად გააქტიურდა როგორც ბაქო, ასევე ანკარა და ამ აქტიურობის მიღმა, საქართველოსთან დაკავშირებით, ორივე ქვეყანას საკუთარი ინტერესები ამოძრავებს.**

თავის მხრივ, საქართველო ამ ინტერესების გამოყენებას ცდილობს.

**„რა თქმა უნდა, ბოლო დროს, რეგიონული დაპირისპირების კონტექსტში, საქართველოს როლი კიდევ უფრო გაიზარდა და ორივე ქვეყნის ინტერესი — ამ შემთხვევაში, თურქეთისა და აზერბაიჯანის კიდევ უფრო იზრდება. აქვე აღვნიშნოთ ისიც, რომ შუა დერეფნით დაინტერესებულია ევროპაც და ამერიკაც. „ქართულ ოცნებას“ კი აქ აქვს საკუთარი ინტერესები იმ მხრივ, რომ საერთაშორისო იზოლაცია გაარღვიოს. ხელისუფლებას აწუხებს ის, რომ დასავლეთთან დაკავშირებით პრობლემები არსებობს და ეს პოლიტიკურად წამგებიანია. ამიტომ, ამ სამი ქვეყნის ინტერესები თანხვედრაშია.**

## ანკარა–თბილისი–ბაქოს ახალი გეოპოლიტიკური კონტურები. რა ხდება კულუარებში?



**პირველი იყო ალიევის ვიზიტი და ვფიქრობ, ეს იყო „სასინჯი ქვა“ გადმოგდებული: თუ რა ხდება საქართველოში, რას ფიქრობს საქართველოს ხელისუფლება და რა გეგმები აქვს რეგიონული კუთხით. სანამ თურქეთში კობახიძეს მიიწვევდნენ, ვთქვათ პირდაპირ, ალიევი დაზვერვაზე იყო გამოგზავნილი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მას შემდეგ, რაც 2024 წლის არჩევნები ჩატარდა, კობახიძე თურქეთში ამხელა დონის ვიზიტით, მე როგორც მახსოვს, არ ყოფილა. ამიტომ, მოისინჯა ნიადაგი ალიევის ხელით, თუ რა ჭკუაზეა საქართველოს ხელისუფლება“**, — ამბობს ანალიტიკოსი.

მისივე თქმით, შემთხვევითი არ იყო ალიევის სტუმრობა **ბიძინა ივანიშვილთან** და ის დარწმუნებულია, რომ ამ საკითხების განხილვა მასთანაც მოხდა.

**„ამის შემდეგ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ კობახიძესთან დიალოგი თურქეთში გაგრძელებულიყო და ის ერდოღანს შეხვედროდა. რაც შეეხება იმ ვერსიას, რომ თურქეთს და აზერბაიჯანს სჭირდებათ რუსეთისგან თანხმობა ან გარანტიები, რომ თუკი საქართველოში ინვესტიციას ჩადებენ, ქვეყნის უსაფრთხოება არ დადგება რისკის ქვეშ — აქ ვგულისხმობ კონფლიქტის განახლებას და ომის დაწყებას — ეს არ მგონია, რადგან დღეს „ოცნება“ საკუთარი პოლიტიკით ახერხებს და რუსეთის ხელისუფლებასთან ნახულობს საკონტაქტო ენას. „ოცნების“ პოლიტიკა ამ რისკებს, ასე ვთქვათ, აზღვევს. შესაბამისად, ეს ვარიანტი არ მგონია. რაც შეეხება შუამავლობას, არ ვიცი, არაფერია გამორიცხული, თუმცა რუსეთი რისი დათმობისთვის არის მზად ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით, ეს არის საკითხავი“**, — ამბობს **ძაბირაძე**.

რაც შეეხება იმას, ცდილობს თუ არა თურქეთი რეგიონში ლიდერობას და სურს თუ არა რუსეთის და დასავლეთის კავკასიაში შესუსტებული გავლენების ფონზე საკუთარი გავლენის გაძლიერება, ანალიტიკოსი ამბობს, რომ დიახ, თურქეთს ეს არა მხოლოდ უნდა, არამედ ამისკენ ყველა ნაბიჯს დგამს. ამ შემთხვევაში, საქართველო მისთვის, წმინდა პრაგმატული თვალსაზრისით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ქვეყანაა.

**ლიკა ბერიკაშვილი**

# ჩინეთის აგრარულ უნივერსიტეტში ქართული ღვინის კულტურის შესახებ პრეზენტაცია გაიმართა

**ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის დარგის საერთაშორისო პოპულარიზაციის ფარგლებში, ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა ჩინეთის აგრარულ უნივერსიტეტში პრეზენტაცია „საქართველო – ღვინის სამშობლო“ გამართა.**

მევენახეობის კადასტრის სამმართველოს მთავარმა სპეციალისტმა, პროფესორმა ირმა მდინარაძემ პრეზენტაცია-ლექცია ვაზის ქართული ავტოქთონური ჯიშებისა და საქართველოს ველური ვაზის გენოფონდის დაცვისა და შესწავლის თანამედროვე მიდგომებზე, ასევე საქართველოს ვენახების კადასტრის პრაქტიკაზე წარადგინა.

**„ვენახის კადასტრის სისტემის დანერგვა უზრუნველყოფს ღვინის ხარისხის კონტროლსა და წარმოების კონკურენტუნარიანობის ზრდას. პროგრამამ უკვე დაიმსახურა მაღალი ინტერესი და შესაძლოა, მნიშვნელოვანი მოდელი გახდეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისთვის. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქართველოს, როგორც ვაზისა და ღვინის სამშობლოს როლს მსოფლიო ღვინის ინდუსტრიაში და ამ გამოცდილების საერთაშორისო მასშტაბით გავრცელების მნიშვნელობას“**, — აღნიშნა **ირმა მდინარაძემ**.

ღონისძიებას ჩინეთის აგრარული უნივერსიტეტის ლექტორები და დოქტორანტები ესწრებოდნენ. მონაწილეებმა განსაკუთრებული ინტერესი გამოხატეს საქართველოს ვენახების კადასტრის პროგრამის მიმართ, რომელსაც ღვინის ეროვნული სააგენტო 2014 წლიდან ახორციელებს. **პროგრამის ფარგლებში საქართველოში აღწერილია 50 ათას ჰექტრამდე ვენახის ფართობი, რაც უზრუნველყოფს დარგის სტრატეგიულ მართვას.**






# შეფარული მუქარის ენა არ მუშაობს!

## ღია წერილი ევროკავშირის ელჩს საქართველოში, ბატონ პაველ ჰერჩინსკის

**ბატონო ელჩო,**

**უცხოელი დიპლომატებისთვის საჯარო პასუხების გაცემა უკვე ერთგვარ ტრადიციად მექცა. წარსულში თქვენი არაერთი კოლეგის უხეში გადაცდომის, პირდაპირი მითითებებისა და დიქტატის მოგერიება მომიწია, ახლა კი თქვენი ჯერიც დადგა.**

თქვენი ბოლოდროინდელი განცხადებები, რომლებშიც საქართველოს მომავალს განიხილავთ და ქართველ ხალხს „სამოქალაქო ომის, სიღარიბისა და კორუფციის ბნელ დროში“ დაბრუნებით აფრთხილებთ, მოითხოვს პასუხს სახელმწიფოებრივი, პოლიტოლოგიური და ისტორიული პერსპექტივიდან. ის, რასაც საჯაროდ ვითომდა კეთილმოსურნე დიპლომატიურ რჩევად ასაღებთ (მიუხედავად იმისა, რომ თავადაც მშვენივრად უწყით შეფარული მუქარისა და შანტაჟის რეალური არსი), ფილოსოფიური და პოლიტიკური ანალიზის შუქზე პირდაპირ წარმოადგენს ნეოკოლონიური სინდრომის კლასიკურ გამოვლინებას და სუვერენული სახელმწიფოს მიზანმიმართულ შეურაცხყოფას.

საუბრობთ „შესანიშნავ, თბილ და სტუმართმოყვარე“ ქართველ ხალხზე. დიპლომატიაში კარგად არის ცნობილი ზედამხედველური მიდგომები, როდესაც უძველესი სახელმწიფოებრიობის მქონე პოლიტიკურ ერს აკნინებენ ეგზოტიკურ მასამდე, რომელსაც თურმე გარედან სჭირდება მენტორი და მხსნელი, რათა საკუთარი თავი არ გაინადგუროს. ჩვენი ქვეყნის აღქმა ეგზოტიკურ ტურისტულ ზანაკად, სადაც მხოლოდ კარგ ღვინოს ასხამენ, უკიდურესი პოლიტიკური სიბეცეა. საქართველო რეგიონის უმთავრესი სტრატეგიული ღერძია 3000-წლოვანი სახელმწიფოებრივი ტრადიციით. ჩვენი ევროპულობა ონტოლოგიური მოცემულობაა, რომელიც ეფუძნება ანტიკურ და ქრისტიანულ ფესვებს და ყოველგვარ ბიუროკრატიულ დირექტივებზე მაღლა დგას.

მტკიცება, რომ მითითებების შეუსრულებლობის შემთხვევაში სახელმწიფო ავტომატურად სამოქალაქო ომსა და სიღარიბეში დაბრუნდება, ფსიქოლოგიურ ტერორს წარმოადგენს. თქვენი მცდელობა, იმოქმედოთ შანტაჟითა და შიშზე აპელირებით, ავლენს სუვერენულ სახელმწიფოსთან საუბრის არგუმენტირებული ენის უცოდინრობას. ემუქრებით ერს, რომელმაც 90-იანი წლების ტრაგედია სწორედ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის გამო გამოიარა. ისტორიული ტრაგედიების შეხსენებით მანიპულირება უფრო მეტად საკუთარი უძლურების აღიარებაა, ვიდრე რამე სახის ძალის დემონსტრირება. ხსენებული იარების დღეს პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება და ულტიმატუმის ინსტრუმენტად ქცევა ვენის კონვენციით დადგენილ დიპლომატიურ ჩარჩოებს სცდება.

მკაფიოდ უნდა ითქვას მთავარი რამ: ქართველები სრულიად განსხვავებული მენტალობის, უძველესი პოლიტიკური კულტურის მატარებელი ხალხი ვართ და ჩვენს შიდა საქმეებში უხეში ჩარევა კატეგორიულად მიუღებელია. უძველესი სახელმწიფოებრიობის მქონე ერის ეგზოტიკურ მასამდე დაყვანა და მისთვის მენტორის პოზიციიდან ჭკუის სწავლება წარსულს ჩაბარებული იმპერიული კომპლექსების პირდაპირი გამოძახილია. თითის ქნევით საუბარი შეგიძლიათ იმ გეოგრაფიულ არეალებში, სადაც სახელმწიფოებრიობის ტრადიცია ახლა იდგამს ფესვებს, ჩვენთან კი, სადაც პოლიტიკური კულტურა ათასწლეულებს ითვლის, მსგავსი ტონი დაუშვებელია. საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის არსებულ ნებისმიერ უთანხმოებას თუ პრობლემას თავად მოვაგვარებთ და შიდა კონსენსუსს დამოუკიდებლად მივაღწევთ გარედან კარნახის გარეშე.

აცხადებთ, რომ საქართველო გზაგასაყარზეა. მსოფლიო გეოპოლიტიკური წესრიგი მართლაც იცვლება და რთული გამოწვევების წინაშე ვდგავართ. საქართველოს ხელისუფლება და ქართული საზოგადოება უპრეცედენტო სიმწიფეს აჩვენებს. ვირჩევთ ევროპულ ოჯახში ინტეგრაციას მხოლოდ ეროვნული იდენტობის, ტრადიციების, მშვიდობისა და სუვერენიტეტის შენარჩუნებით. ევროპული ოჯახი ფუნდამენტური იდეით თანასწორთა კავშირია და გამორიცხავს მეტროპოლიისა და პროვინციის ურთიერთობას. როდესაც სტრატეგიული პარტნიორობა მორჩილების მოთხოვნით ნაცვლდება, იქ დემოკრატია სრულდება. უაღრესად საინტერესოა, რომ ევროპის სახელით საუბრისას იყენებთ სწორედ იმ რიტორიკას, რომელსაც თავად ევროპა გაცხადებულად ებრძვის.

**ბატონო ჰერჩინსკი, დიპლომატიის ხელოვნება ხიდების შენებას გულისხმობს და კრძალავს აპოკალიფსური წინასწარმეტყველებებით მუქარას. ქართველმა ერმა მშვენივრად იცის საკუთარი ფასიც და ისტორიული გზაც. გარედან კარნახის, დირექტივებისა და შეფარული მუქარის ენა ჩვენთან არ მუშაობს. დროა, შეცვალოთ ტონი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ევროპული იდეის მთავარი დამაზიანებელი ქართული საზოგადოების თვალში სწორედ თქვენი უხეში რიტორიკა აღმოჩნდება. ვირჩევთ მშვიდობას, განვითარებას და ღირსებით სიარულს წინ. ვრჩებით ჩვენს პოზიციებზე ნებისმიერი გარე წნეხის მიუხედავად.**



ირაკლი ყიფიანი

25.04.2026

# 26 აპრილი ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მსოფლიო დღეა!




**2000 წელს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ „ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო დღე“დააწესა. ამ დღის აღნიშვნა 2001 წლიდან დაიწყო. ეს დღეც აირჩა და ესაა 26 აპრილი.**

**ამ დღეს, 1970 წელს ძალაში შევიდა საერთაშორისო კონვენცია, რომლის თანახმადაც დაარსდა „ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია“ (ისმო).**

**ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია მრავალფეროვანი თემებითა და სადღესასწაულო განწყობით ყოველწლიურად განსკუთრებულ ინტერესსა და მოლოდინს აჩენს ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო დღის მიმართ. ყოველ 26 აპრილს გამართული ღონისძიება ერთ კონკრეტულ თემატიკას ეძღვნება, რომელსაც ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია თავად არჩევს. ეს დღე საზეიმოდ პირველად 2001 წელს აღინიშნა დევიზით – „შევქმნათ მომავალი დღეს“ და ღონისძიება მთლიანად მომავალი თაობის წახალისებასა და ხელშეწყობას მიეძღვნა. არანაკლებ მნიშვნელოვანი და აქტუალური თემები იყო შერჩეული გასულ წლებშიც. 2013 წელს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო დღე აღინიშნა სლოგანით – „კრეატიულობა – ახალი თაობა“; 2012 წელი „ხედვის ინოვატორების“ წლად გამოცხადდა, 2011 წლის თემა კი იყო დიზაინის როლი და აუცილებლობა სასაქონლო ბაზარსა და მომავლის ინოვაციების შექმნის საქმეში. „ინოვაცია მსოფლიოს აკავშირებს“ ამ დევიზით აღნიშნა ინტელექტუალური დაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ 2010 წლის 26 აპრილი.**

**დღეს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია კიდევ ერთხელ შეახსენებს მსოფლიოს ინოვაციების მნიშვნელობასა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის აუცილებლობაზე.**

**კიდევ ერთხელ გულითადად ვულოცავ საქართველოს გამომგონებლებს, რაციონალიზატორებს და ნოვატორებს ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო დღეს და ვუსურვებ დიდ წარმატებას შემოქმედებით საქმიანობაში.**



თამაზ შილაკაძე,

საქართველოს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს დამსახურებული გამომგონებელი

# შანხაი-თბილისის მიმართულებით პირდაპირი ფრენები იწყება

**15 ივლისიდან შანხაი-თბილისის მიმართულებით პირდაპირი ფრენები იწყება,** – ამის შესახებ გადაწყვეტილება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრისა და ჩინური ავიაკომპანია China Eastern Airlines-ის ხელმძღვანელების შეხვედრაზე მიიღეს, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მარიამ ქვრივიშვილის ვიზიტის ფარგლებში გაიმართა.

China Eastern Airlines-ი რეგულარულ ავიარეისებს შანხაი-თბილისი-შანხაის საჰაერო ხაზზე კვირაში სამი სიხშირით შეასრულებს.

მარიამ ქვრივიშვილმა ხაზი გაუსვა ჩინეთის მთავარ საფინანსო ცენტრთან საქართველოს პირდაპირი საჰაერო მიმოსვლის დაწყების განსაკუთრებულ მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ ეს გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის ბიზნეს და ეკონომიკური კავშირების კიდევ უფრო მეტად განვითარებას.

როგორც მინისტრმა განაცხადა, თბილისი-შანხაის მიმართულებით პირდაპირი ფრენების დაწყება არის კიდევ ერთი დემონსტრირება იმისა, რამდენად მაღალ დონეზეა ქვეყნებს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირები.

**შეხვედრაზე აქცენტი გაკეთდა საქართველოს ოფიციალური პარტნიორი ქვეყნის სტატუსზე აზიის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ და მასშტაბურ ტურისტულ გამოფენაზე, ITB China 2026-ზე, რომელიც მიმდინარე წლის 26-28 მაისს შანხაიში გაიმართება და მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს ტურისტული პოტენციალის პოპულარიზებას.**



# ემიგრანტთა რაოდენობა, წინა წელთან შედარებით, 5,8 პროცენტით შემცირდა

**2025 წელს ემიგრანტების რიცხოვნობამ 114 374 ადამიანი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით, 5.8 პროცენტით ნაკლებია, ხოლო იმიგრანტების რიცხოვნობა 3.2 პროცენტით შემცირდა და 131 501 ადამიანი შეადგინა,** – ამის შესახებ **სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშშია** საუბარი, რომელიც 2025 წლის მიგრაციის სტატისტიკას ასახავს.



გასული წლის მაჩვენებლებზე დაყრდნობით, იკვეთება, რომ **მიგრაციული სალდო იყო დადებითი და 17 127-ს შეადგენდა.**

ამასთან, სტატისტიკის მიხედვით, **მიგრაციული მაჩვენებლის უდიდესი ნაწილი უცხოეთის მოქალაქეებს მოიცავს, სადაც უკრაინის, რუსეთის და ინდოეთის მოქალაქეები დომინირებენ. 2025 წლის მიგრაციული სტატისტიკიდან იკვეთება, რომ 2025 წელს საქართველოს 62 073 იმიგრანტი, 58 799 ემიგრანტი ჰყავდა და ქვეყანაში 3 274-ით მეტი ადამიანი დაბრუნდა.**

# როგორ დასრულდება ეს მსოფლიო დამიჭი-გამიშვი?




**მთელი მსოფლიო სულის კაწკაწით ელოდა 7 აპრილის ღამეს, როცა უნდა დაწყებულიყო ირანული ცივილიზაციის განადგურება (პრეზიდენტ ტრამპის სიტყვებით), უპირველესი სამიზნეები იყო ხიდები და ელექტროსადგურები, მაგრამ ხალხმა ცოცხალი ჯაჭვი შემოავლო თითოეულ სამიზნეს და გადაარჩინა ისინი, ჯერჯერობით მაინც!.. ხიდებისა და ელექტროსადგურების აფეთქება კვლავ რჩება თეთრი სახლის დღის წესრიგში. პაკისტანის ჩართულობით მოხერხდა ორკვირიანი ვადის დათქმა ცეცხლის შესაწყვეტად, ოღონდ, შეთანხმებაში არ შევიდა ლიბანი, რომელიც განუწყვეტლივ იბომბება ისრაელის მიერ.**

**ეს შეთანხმება ომის სამივე მონაწილემ საკუთარ დიდ გამარჯვებად გამოაცხადა.**

**„ეს არის ჩვენი სრული და აბსოლუტური გამარჯვება 100 პროცენტით“,** – განაცხადა აშშის პრეზიდენტმა **ტრამპმა.**

**„დიდ გამარჯვებას მივაღწიეთ, აშშ ვაიძულეთ ჩვენი 10-პუნქტიანი გეგმა მიეღო. მტერმა ირანელი ერის წინააღმდეგ უსამართლო, უკანონო და დანაშაულებრივ ომში უდავოდ ისტორიული და გამანადგურებელი მარცხი განიცადა. მტრის მიერ დაშვებული უმცირესი შეცდომის შემთხვევაში სრული ძალის გამოყენებით გავცემთ პასუხს,“** – დაწერა ირანის ეროვნული უსაფრთხოების უმაღლესმა საბჭომ.

**„თითი სასხლეტზეა. ეს დასასრული არ არის,“** – ეს ფრაზა **ნეთანიაჰუმ** შეთანხმებისთანავე გააჟღერა და იმავე დღეს ყველაზე მასშტაბური იერიში მიიტანა ლიბანზე, ბეირუთის სამხრეთ გარეუბნებზე და ბექაას აღმოსავლეთ ველზე. მისი თქმით, სულ რაღაც 10 წუთში 100-ზე მეტი სამეთაურო ცენტრი და სამხედრო ობიექტი დაბომბეს. დაიღუპა 250-მდე და დაშავდა 1100-ზე მეტი ადამიანი.

შეთანხმების დადება ჰაერივით აუცილებელია. პრეზიდენტი ტრამპი კვლავ იმუქრება, თუ ისინი შეთანხმებას არ დადებენ, ირანში ყველაფერს ავაფეთქებთ და ნავთობს ხელში ჩავიგდებთო, **„გიჟო, ნაძირალებო“**, გახსენით ჰორმუზის სრუტეო!..

იმავე დროს, თურმე, **„ამერიკის მიზანი არ იყო ირანის რეჟიმის შეცვლა, რადგან მისი ყველა თავდაპირველი ლიდერი დაიღუპა. ახალი ჯგუფი ნაკლებად რადიკალური და ბევრად უფრო გონივრულია. ირანის წინააღმდეგ ომი დასასრულს უახლოვდება, ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ: გავანადგურეთ მათი სამხედრო ფლოტი, საჰაერო ძალები და რაკეტები. მათ აღარ შეუძლიათ შექმნან ბირთვული ბომბი. ჩვენ ჯერ არ შევხებივართ ნავთობს“.** ტრამპი მიმართავს ქვეყნებს, რომლებსაც არ შეუძლიათ საწვავის მიღება, რომლებიც უარს ამბობენ ირანის ომში მონაწილეობაზე, **„მოიკრიბეთ დაგვიანებული გამბედაობა, შედით ჰორმუზის სრუტეში და უბრალოდ აიღეთ, რთული ნაწილი დასრულებულია“.**

**„ყოვლის შემძლე ღმერთის ნებით ეს ომი გაგრძელდება თქვენს დამარცხებამდე, შემუსვრამდე და სამუდამო დანებებამდე,“** – უპასუხა ირანის შეიარაღებულმა ძალებმა ტრამპს. მანამდე ირანის პრეზიდენტმა **მასუდ ფეზეშქიანმა** ამერიკულ საზოგადოებას მიმართა, რომ გაიხედონ რიტორიკის მიღმა, რომ ირანთან ომი არ ემსახურება ამერიკელი ხალხის ინტერესებს. გაიაზრონ, ნამდვილად შედის თუ არა **„ამერიკა უპირველეს ყოვლისა“** მათი მთავრობის პრიორიტეტებში, თუ ის მოქმედებს როგორც ისრაელის წარმომადგენელი.

ტრამპი სპარსეთის ყურის რეგიონში სწრაფი რეაგირების ძალებს უყრის თავს. ეს სამხედრო დანაყოფები სახმელეთო ოპერაციებისთვის არის განკუთვნილი, ბოლოს ჰორმუზის სრუტის ბლოკადა მოახდინა, რომლის პასუხადაც ირანის ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსმა ახალი განცხადება გაავრცელა: **თუ ომი გაგრძელდება, ჩვენ გამოვიყენებთ ისეთ იარაღებს, რომელთა შესახებ მტერს წარმოდგენაც კი არა აქვს და რომელთათვისაც წინააღმდეგობის გაწევისთვის მტერს ძალიან შეზღუდული შესაძლებლობები ექნებაო.**

* * *

**მაშინ, როდესაც მსოფლიო ყალყზეა შემდგარი, საქართველო აქცენტირებული რჩება**



## საწუხარ არს ესე!..

**მშვიდობაზე, სტაბილურობასა და უსაფრთხოებაზე, რადგან მსოფლიოს მრავალ კუთხეში ირღვევა ეს პრინციპები. მტკიცედ ითქვა, რომ მსგავსი მოვლენები ჩვენს რეგიონს არ უნდა შეეხოს.**

ამასობაში „ლელო – ძლიერი საქართველო“ გამოდის ინიციატივით ანაკლიის პორტს დაერქვას დონალდ ტრამპის სახელი. პარტიის გენერალურმა მდივანმა ირაკლი კუპრაძემ ბრიფინგზე განაცხადა, რომ “სომხეთ-აზერბაიჯანის შეთანხმების შემდეგ ამიერკავკასიაში გაჩნდა უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო სატრანზიტო გზა, რომელსაც ეწოდა **„ტრამპის გზა“**. ამ გზამ ვერ უნდა აუაროს გვერდი საქართველოს. ამის განხორციელება კი შესაძლებელია მხოლოდ ანაკლიის პორტის აშენებით, რაც იქნება „ტრამპის გზის“ ლოგიკური გაგრძელება. მივმართავთ ყველა ჩართულ მხარეს, ანაკლიის პორტს დაერქვას ტრამპის სახელი და ის გახდეს **„ტრამპის გზის“** კარიბჭე დასავლეთ სამყაროსთვის... ჩვენი გუნდი მზად არის ახლაც და ხელისუფლებაში მოსვლისთანავე (?!) უზრუნველყოს ყველა ამ პირობის შესრულება“.

ჩვენი ენაკვიმატები უმალ გამოეხმაურნენ ლელოელი ირაკლი კუპატაძის მოწოდებას ანაკლიის პორტისთვის ტრამპის სახელის დარქმევის შესახებ და თავის მხრივ წამოაყენეს წინადადება, ფოთის პორტს დაერქვას მელანია ტრამპის სახელი... ავშენდით, ავშენდით!

* * *

**15 აპრილს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაკა ბოჭორიშვილმა პარლამენტის ტრიბუნიდან ვრცლად ისაუბრა საქართველოს ევროკავშირთან ურთიერთობაზე, კერძოდ, საქართველოს მიმართ ევროკავშირის უსამართლო დამოკიდებულებაზე. საქმე შანტაჟის ნაცვლად!**

ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილების მიღებისთანავე მზად ვართ ვაწარმოოთ მოლაპარაკება ევროკავშირთან... ჩვენ გვაქვს მომზადებული საკმაოდ ვრცელი კრებული, სადაც თავმოყრილია რეზოლუციები, სხვადასხვა დოკუმენტები, განცხადებები, რომელთა ავტორები არიან უცხო ქვეყნები, ძირითადად უცხოური ორგანიზაციები, ე. წ. სამოქალაქო საზოგადოების აქტორები, ხანდახან – ელჩებიც“. **მოდი და, ნუ შეშფოთდები!**

* * *

**უნგრეთში ვიქტორ ორბანის დამარცხებამ ახალი იმედები გაუჩინა ქართულ ოპოზიციას. „ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი გამაგონე ჩემს მამულში!“ – დაწერა სააკაშვილმა. იმის ფეხის ხმას მთელი ოპოზიცია აჰყვა.**

პარლამენტარ ნინო წილოსანის შეფასებით კი ქართველ რადიკალებს ტყუილად უხარიათ, მათ ნული შანსი აქვთ და უნგრეთთან პარალელის გავლება სრული აბსურდია: **„აქაური გაცამტვერებული ოპოზიციისგან განსხვავებით, უნგრეთში გამარჯვებულმა პარტიამ ხალხის 54 პროცენტამდე მხარდაჭერა უჩვენა, რისი სერიოზული ნაკლებობაც აქვთ ჩვენს ოპონენტებს. პირიქით, სწორედ 56-პროცენტიანი და მეტი მხარდაჭერა ერგო სხვადასხვა არჩევნებზე „ქართულ ოცნებას“ ქართველი ხალხისგან. ამიტომ ამ პარალელების გავლება სრული აბსურდია“.**

9 აპრილს, როგორც ყოველთვის, ხალხმა პატივი მიაგო 9 აპრილის მსხვერპლთ. მემორიალთან პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი და პრეზიდენტი მიხეილ ყაველაშვილი კაბინეტის წევრებთან ერთად მივიდნენ და გვირგვინებით შეამკეს. ჩვენმა ევროპული მომავლის მცველებმა ყიჟინა დაახვედრეს: **„მონებო!“ „რუსებო!“** ერთმა აქტივისტმა კი მათ მიერ მიტანილი გვირგვინების გადაყრა სცადა, რისთვისაც სამართალდამცველებმა დააკავეს. გლახად აღერღილი დახვდა შუა გზაში კულტურის მინისტრის მოადგილეს ბექა დავითულიანს მეტისმეტად აქტივისტი მარიამ მეყანწიშვილი, სულ **„ანტიეროვნული, რუსი და მოღალატე“** უძახა.

მაგრამ ასე იყო თუ ისე, 9 აპრილის ღონისძიება მაინც მშვიდობიანად ჩატარდა, თუმცა **სალომე ზურაბიშვილმა** მაინც გამოყო ფეხი და სცადა მინავლულ ცეცხლზე ნავთის გადავლება: **„რაც არ უნდა აქ მოვიდეს „ქართული ოცნება“ და ვითომცდა პატივი სცეს, თუნდაც დაიჩოქოს, მაინც არაფერი ეშველებათ. ესენი არიან ისინი, ვინც საქართველოს ყიდის, საქართველოს დამოუკიდებლობას ყიდის. მზად არის იმისათვის, რომ თავიანთი გამდიდრებისა და ძალაუფლებისთვის ყველაფერი გასცენ და ყველაფერი მისცენ რუსებს!“**

**ამაზე იტყვიან „მაგ პირით პურს როგორა ჭამო“. მაგრამ ამ შედარებას რომ მივყვეთ, მაშინ ზურაბიშვილის ქალს**



**პური საერთოდ არ უნდა ეჭამა! ჯერ მარტო ის რადა ღირს, 2024 წლის არჩევნების დამთავრების დღესვე რომ დაახეთქა, არჩევნები გაყალბებულიაო და ჩასაფრებული თავისიანები აიყოლია. და მას შემდეგ ყოვლად უსაგუთოდ, ყოვლად დაუმტკიცებლად გადადის ეს მამალი ტყუილი ევროკავშირის ქვეყნებში და საქართველოს ხელისუფლებას ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს. აპი დაიტრაგახა კიდეც, მაშინ მე რომ არ მემარჯვა და ეს არ მეთქვა, ჩვენ არ ვიქნებოდით იქ, სადაც ახლა ვართ. გარაქალა შენ, მარადიულო პრეზიდენტო!**

ამას წინათ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ ჟურნალისტებთან თქვა, რომ რუსეთს მოუწევს საქართველო „არამეგობრული ქვეყნების“ სიაში შეიყვანოს, თუ ქვეყანა ევროკავშირში გაწევრიანდება. რუსეთის წინააღმდეგ სანქციებთან შეერთება მძიმე დარტყმას მიაყენებს მის ეკონომიკასო, რის პასუხადაც შალვა პაპუაშვილმა ასეთი კომენტარი გააკეთა: ჩვენ ვმოქმედებთ ჩვენი ხალხის ინტერესებით და არა იმის მიხედვით, თუ ვინ რას იტყვისო. შენს პირს შაქარი!

**საერთაშორისო ორგანიზაცია „ფრიდომ ჰაუსმა“ გამოაქვეყნა სპეციალური ანგარიში იმის თაობაზე, რომ 6 ახალი ქვეყანა შეემატა ტრანსნაციონალური რეპრესიის განმახორციელებელი სახელმწიფოების ჯგუფს, რომელთა შორის საქართველოცაა ავღანეთის, ბენინის, კენიის, ტანზანიისა და ზიმბაბვეს გვერდით. მათ აქვთ მცდელობა გააჩუმონ საზღვარგარეთ მყოფი დისიდენტები უკანონო ქმედებებით, რისთვისაც იყენებენ როგორც ფიზიკურ, ისე არაპირდაპირ მეთოდებს:**



უკანონო დაკავებებს, იძულებით დაბრუნებას, საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმების ბოროტად გამოყენებასა და ზეწოლას ემიგრაციაში მყოფ პირებზე. აღსანიშნავია, რომ ორგანიზაცია საქართველოს კონტექსტში კონკრეტულ შემთხვევებს არ აღწერს. სამაგიეროდ, საქართველოდან ახლახან გაძევებული ჟურნალისტი აფგან სადიგოვი და მისი ქართველი დამქაშები გაძევების აქტს საერთაშორისო სამართლისა და ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების დარღვევად მიიჩნევენ.

„ივანიშვილმა-მკვლელმა, კორუმპირებულმა მაღალჩინოსანმა, კრემლისა და პუტინის მონამ და თავისი ქვეყნის მოღალატემ დიდი დარტყმა მიაყენა ქართული სახელმწიფოს იმიჯს ჩემი გაძევებით. ამ ნაბიჯით მან ხალხის აწმყო და მომავალი თავის პირად ინტერესებს შესწირა.“ – დაწერა მან სოციალურ ქსელში (შეგახსენებთ, რომ სადიგოვს მიესაჯა ქვეყნიდან გაძევება სამი წლით და 2000 ლარი ჯარიმა). კიდევ კარგი, ივანიშვილი მართლა მკვლელი და მოღალატე არ არის, თორემ სადიგოვს თუნდაც მხოლოდ ცრუ და ბოროტი ენაგრძელობისთვის იმ ენას უბრალოდ ამოგლეჯდა და ახიც იქნებოდა!

ამასობაში ბიძინა ივანიშვილს კიდევ ერთი „ბრალდება“ წამოეწია ექსპრეზიდენტ სააკაშვილის მხრიდან, ივანიშვილი ამზადებს ერთ-ერთი შვილის ხელისუფლებაში მიყვანას და გვაჩვევს დინასტიურ მმართველობასო. იქვე ოპოზიციასაც აყრის ქოქოლას, ჩვენი გზა ვერ იქნება უნგრული, უნდა იყო ქართული და ქართველების გზა არის რევოლუციაო.



„ვარდების რევოლუცია“ არ ასვენებს მიშას, თორემ პოლიტიკოსსა და ნორმალურ ოპოზიციონერს როგორ არ უნდა ერჩივნოს არჩევნების გზით რეჟიმის შეცვლა.

მაგრამ სისხლში გამჯდარი ავანტიურიზმი მოსვენებას არ აძლევს. კიდევ კარგი, მის რევოლუციურ გამოსვლებს და მოწოდებებს მსმენელი აღარ ჰყავს.



არც არასდროს ეყოლება!

**ალეკო ასლანიშვილი**

# ავტომობილი ჩვენი ჯიბის მტერია,

## უვიცი მძღოლების ჯარი ქვეყნის საერთო ტრაგედიაა!

## 1 მაისიდან სანქციები და ჯარიმები, შესაბამისად, ბიუჯეტიც იზრდება!





**პარლამენტმა მესამე მოსმენით შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი დაამტკიცა, რომლითაც საგზაო მოძრაობის წესების დარღვევაზე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მკაცრდება და არსებული სანქციები იზრდება.**

**„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილებები 84-ხმით, ერთხმად მიიღეს.**

საკანონმდებლო ცვლილებებით მთელ რიგ სამართალდარღვევებზე სანქციები იზრდება. კერძოდ:

**100 ლარამდე იზრდება ჯარიმა სატრანსპორტო საშუალების გზაზე მანევრირების წესების დარღვევისთვის. ამავდროულად, ამ სამართალდარღვევისთვის მართვის მოწმობისთვის მინიჭებული ქულათა რაოდენობა 20 ქულით შემცირდება.**

**50-დან 100 ლარამდე იზრდება სანქცია 15 კმ/სთ-ზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 40 კმ/სთ-ის სიჩქარის გადაჭარბებისთვის.**

**50 ლარამდე იზრდება სანქცია ავტომობილით მოძრაობისას მძღოლის ან მგზავრის მიერ უსაფრთხოების ღვედის გამოუყენებლობისთვის. აღნიშნული სამართალდარღვევისთვის მართვის მოწმობისთვის მინიჭებული ქულათა რაოდენობა 10 ქულით შემცირდება.**

**50 ლარამდე იზრდება სანქცია ავტომობილის მართვის დროს მძღოლის მიერ მობილურით სარგებლობისთვის.**

**დგომა-გაჩერების წესების დარღვევისთვის თბილისის მსგავსად, 50 ლარამდე იზრდება ადმინისტრაციული ჯარიმის ოდენობა ქუთაისში, ბათუმში, მცხეთაში, რუსთავში, გორში, თელავში, ფოთში, ზუგდიდში, ახალციხეში, ოზურგეთსა და საქართველოს კურორტებზე, ასევე M3, N2, N3 ან T კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებისთვის.**

**„დრიფტი“, რომელსაც ნივთის ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება მოჰყვება, 500-ლარიან ჯარიმასთან ერთად, გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერებას – 6 თვის ვადით.**

**საგზაო მოძრაობის წესების განმეორებით დარღვევა, რომელსაც საავარიო ვითარების ან საცობის შექმნა მოჰყვება, გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით და მართვის მოწმობაზე 30 ქულის შემცირებას.**

**500-ლარიანი ჯარიმა იქნება გათვალისწინებული თბილისში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზაზე N2 ან N3 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისთვის იმ შემთხვევაში, თუ სატვირთო გადაზიდვის დანიშნულების ადგილი თბილისი არ არის.**

**ახალ სამართალდარღვევად განისაზღვრება სატრანსპორტო საშუალების ტროტუარზე ან ქვეითთა გადასასვლელზე დგომა-გაჩერება, რაც თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, მცხეთაში, რუსთავში, გორში, თელავში, ფოთში, ზუგდიდში, ახალციხეში, ოზურგეთში, და საქართველოს კურორტებზე გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, ხოლო სხვა მუნიციპალიტეტებში – 10 ლარით.**

**ტროტუარზე სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისთვის დგინდება ჯარიმა 200 ლარის ოდენობით, აგრეთვე დამრღვევს მართვის მოწმობაზე 30 ქულა შეუმცირდება.**

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილებებით ახალი ამკრძალავი ნიშანი – **„გაჩერება აკრძალულია სახანძრო ჰიდრანტთან“ შემოდის.** აღნიშნული კრძალავს სახანძრო ჰიდრანტთან სატრანსპორტო საშუალების როგორც გაჩერებას, ისე დგომას. **დასახელებული მოთხოვნის დაუცველობა გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, აგრეთვე შესაძლებელი იქნება სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანა.**

ახლებურად განისაზღვრება „BUS LANE“-ზე სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების გარდა სხვა სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის საკითხები. **კერძოდ, „BUS LANE“-ზე მოძრაობა, არსებულ 100-ლარიან ჯარიმასთან ერთად, დამატებით გამოიწვევს მართვის მოწმობაზე 15 ქულის შემცირებას, ხოლო ქმედების განმეორებისთვის გათვალისწინებულია ჯარიმა 150 ლარის ოდენობით და მართვის მოწმობაზე 30 ქულის შემცირება.**

**საერთო ნაკადის საპირისპირო მიმართულებით მოწყობილ „BUS LANE“-ზე მოძრაობა, გაჩერება ან დგომა გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით და მართვის მოწმობაზე 20 ქულის შემცირებას, ხოლო ქმედების განმეორებისთვის გათვალისწინებულია ჯარიმა 300 ლარის ოდენობით და მართვის მოწმობაზე 30 ქულის შემცირება.**

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტრო განმარტავს, ბოლო წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაზრდილი სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობისა და მზარდი მობილობის ფონზე, საგზაო უსაფრთხოება კვლავ გამოწვევად რჩება. უწყების ინფორმაციით, მიღწეული პროგრესის მიუხედავად, საქართველოში ყოველწლიურად საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შედეგად ასობით ადამიანი იღუპება ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას იღებს.

**„2025 წლის განმავლობაში საქართველოში ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად 469 ადამიანი გარდაიცვალა, დაშავდა – 8 191. ავტოსაგზაო შემთხვევები უმეტესად გამოწვეული იყო საპირისპირო ზოლში ავტომობილის გადასვლით, მანევრირების წესის დარღვევით. სიჩქარის გადაჭარბებისთვის მილიონ 700 ათასზე მეტი ადმინისტრაციული ჯარიმა დაიწერა. ავარიების გამომწვევი მიზეზებიდან სიჩქარის გადაჭარბება სიხშირით მე-3 ადგილზე იყო. ეს სტატისტიკაა მოტივაცია, რამაც აღნიშნული ცვლილებების განხორციელების საჭიროება დააყენა“,** – განაცხადა შს მინისტრის მოადგილემ **ალექსანდრე დარახველიძემ** პარლამენტის პლენარულ სხდომაზე.

**ცვლილებები 2026 წლის 1 მაისს ამოქმედდება.**



## ქართული ეკონომიკური მეცნიერების დიდი მოამაგე



# უღირსეულესი ადამიანი, მრავალმხრივი მოღვაწე

## პროფესორი რევაზ გოგოხია 90 წლისაა

**რევაზ აკაკის ძე გოგოხია დაიბადა 1936 წლის 28 აპრილს, აღდგომის დღესასწაულის სწორ კვირაცხოვლობის დღეს, სამეგრელოს ულამაზეს სოფ. ფახულანში (წალენჯიხის რ-ნი), მდიდარი კოლხური ტრადიციების მქონე ოჯახში. ამასთან, მისი ბაბუა და მამა აღიარებული იყვნენ, როგორც სოფლის არაფორმალური თავკაცები. რევაზი დედ-მამის 4 შვილიდან ყველაზე უმცროსი იყო. სოფლის სკოლაში გამორჩეული და აქტიური მოსწავლე გახლდათ, მხატვრული ლიტერატურის დიდი მოყვარული, რედაქტორობდა კედლის გაზეთს...**

საშუალო სკოლა დაამთავრა 1953 წელს ვერცხლის მედლით და ჩაირიცხა ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ის ეკონომიკური ფაკულტეტის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სპეციალობაზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1958 წელს. იგი იყო ძალიან აქტიური სტუდენტი, მრავალ ღონისძიებაში ჩართული და კრიტიკულად მოაზროვნე ახალგაზრდა. მალე ასპირანტურაც დაამთავრა და დაიცვა ეკ. მეცნ. კანდიდატის ხარისხი (1965წ.).

ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი იყო 1966-77 წლებში, იქვე, სხვადასხვა დროს, იყო ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე, ჟურნალ „მაცნეს" ეკონომიკური სექციისა და ჟურნალ „ეკონომისტის" (მთ. რედ. აკად. პ. გუგუშვილი) სარედაქციო კოლეგიის წევრი და განყოფილების გამგე. იგი იმავდროულად იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ეკონომიკური თეორიის კათედრის დოცენტი.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორია 1988 წლიდან, ხოლო პროფესორი – 1989 წლიდან.

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკის ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში ბატონ რევაზს მოუწია ქვეყნისათვის, კერძოდ, **სვანეთის რეგიონისათვის ფრიად სასარგებლო სამუშაოს შესრულება.** საქმე ისაა, რომ საქართველოს მთავრობამ სვანეთის რეგიონიდან (მესტია, ლენტეხი) მიიღო სერიოზული საჩივრები სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მძიმე მდგომარეობის შესახებ, რის გამოც პაატა გუგუშვილის ინსტიტუტს დაევალა ხსენებული მდგომარეობის საფუძვლიანი გამოკვლევა და რეკომენდაციების შემუშავება, რისთვისაც შერჩეულ იქნა ინსტიტუტის 10 წამყვანი მეცნიერ-მუშაკი რევაზ გოგოხიას ხელმძღვანელობით. კომისიამ 15 დღის განმავლობაში ჩაატარა უაღრესად სერიოზული, საქმიანი გამოკვლევა, შეიმუშავა რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გამოსწორების რეკომენდაციები, რაც ინსტიტუტის ხელმძღვანელობის გარკვეული შესწორებით, წარედგინა მთავრობას.

რ. გოგოხია 1978-88 წლებში იყო თსუ-ის ეკონომიკური თეორიის კათედრის დოცენტი, 1989 წლიდან – პროფესორი. 1980-82 წლებში იყო თსუ-ის ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, 1983-1986 წლებში – საქართველოს მთავრობასთან არსებული საზოგადოებრივი აზრის შესწავლის პროგნოზირებისა და ფორმირების ცენტრის სოციალურ-ეკონომიკური ლაბორატორიის გამგე, სადაც ბევრი საინტერესო და საქმიანი გამოკვლევა ჩატარდა და ქვეყნისათვის სასარგებლო შედეგები იქნა მიღებული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რ. გოგოხია ეროვნული ხელისუფლების დროს (ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობისას), იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე, სადაც მას დაეკისრა ფრიად საპასუხისმგებლო ფუნქცია – საქართველოში რადიკალური აგრარული რეფორმის კომისიის ხელმძღვანელობა. შესაბამისი დოკუმენტი დათქმულ ვადაში მომზადდა, თუმცა, საპარლამენტო განხილვა ვერ მოესწრო. სამხედრო ხუნტამ ბარბაროსული მეთოდებით დაამხო ეროვნული მთავრობა და ამომრჩეველთა 92%-ის მიერ პრეზიდენტად არჩეული ზვიად გამსახურდია გააძევა საქართველოდან და სასიკვდილოდ გაიმეტა. ასეთ პირობებში, ბატონმა რევაზმა სამსახური მწვავე განცხადებით დატოვა, რასაც პუტჩისტმა მთავრობამ იმავე საღამოს საშინელი რეაგირებით უპასუხა – მისი ბინის კარფანჯრები ავტომატით დაცხრილა (უფლის წყალობამ კი ოჯახი ტრაგედიას გადაარჩინა).

რამდენიმე დღის შემდეგ მას „მთავრობამ" მუქარით სავსე შეტყობინება გამოუგზავნა, დაუყონებლივ დაბრუნებულიყო სამსახურში და დაუმთავრებელი საქმეები დაესრულებინა! ასეც მოხდა – რევაზი დაბრუნდა, მაგრამ... დიდ დროს არ გაუვლია, როცა „ახალი მთავრობის" თავმჯდომარის ბრძანებით, ხელისუფლების ყველა შტო უნდა გაწმენდილიყო ე.წ. ზვიადისტებისგან. მათ შორის მოხვდა ბ-ნი რევაზიც...

ამოუწურავია პროფ. რ. გოგოხიას მოღვაწეობა სამეცნიერო სფეროში, სტუდენტთა სასწავლო აუდიტორიებსა და ახალგაზრდა მეცნიერთა კადრების მომზადების საქმეში, ასეულობით მეცნიერული, უაღრესად საჭირო და პრობლემური სტატია ქვეყნის ეკონომიკის აქტუალურ საკითხებზე, ათეულობით სხვადასხვა მიმართულების მონოგრაფიული გამოკვლევა, წიგნები, ბროშურები და უაღრესად საჭირო სახელმძღვანელოები ქართველი სტუდენტებისათვის.

აღნიშნულთან ერთად, ხაზგასმით გვინდა დავასახელოთ პროფ. რ. გოგოხიას პუბლიცისტური სტატიებიდან რამდენიმე მაინც, რაც მიძღვნილია საქართველოსა თუ მსოფლიოსთვის ფრიად მნიშვნელოვანი და საჭირბოროტო საკითხებისადმი:

1. **საქართველოს გამდიდრების ასამოქმედებელი მძლავრი ფაქტორი** (გაზ. „საქ. რესპ.", 2019, 13-VII). ამავე მოხსენებით იგი წარდგა საქ. მეცნ. აკადემიის ეროვნულ პრობლემათა კომისიის გაფართოებულ სხდომაზე, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია.

2. **უფრო მტკიცედ უნდა მოვირგოთ ეროვნული ეკონომიკური იდეოლოგიის სამოსელი (გლობალური ანტიგლობალიზმი და ღვთივკურთხეული საქართველო),** (გაზ. „საქ. რესპ.", 2020, 13-VII).

3. **საქართველოს უფრო სჭირდება ევროკავშირის წევრობა, თუ ევროპასა და სრულიად მსოფლიოს?!** (გაზ. „საქ. რესპ., 2023, 31-VII);

4. **საქართველოს სისტემური განვითარების სტრატეგიის შემუშავების შესახებ** (ვლ. პაპავას, ავთ. სილაგაძის, ავთ. არაბულის და სხვათა თანაავტორობით (გაზ. „საქ. რესპ.", 2023, 6-02) და ა.შ.

საქართველოს ბევრ უმაღლეს სასწავლებელში მოღვაწეობს მის მიერ აღზრდილი, გამოწრთობილი და მეცნიერების გზადალოცვილი პროფესიონალი ლექტორი. მისი უშუალო ხელმძღვანელობით, ეკონომიკაში სამეცნიერო ხარისხი დაცული აქვს 41 ასპირანტსა და დოქტორანტს. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს იმის შესახებ, რომ პროფ. რ. გოგოხიას ნაყოფიერი სამეცნიეროპედაგოგიური მუშაობის გამოცდილება მნიშვნელოვნად წაადგა თსუ-ის სოხუმისა და ზუგდიდის ფილიალებს, სადაც იგი სხვადასხვა დროს, წლების განმავლობაში, შეთავსებით მუშაობდა მის მიერვე ჩამოყალიბებული კათედრების გამგედ. ასევე, მნიშვნელოვანია მისი წვლილი ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობაში, სადაც სტუდენტთა სახელმწიფო გამოცდების კომისიის თავმჯდომარის, საჯარო ლექციების ჩატარებისა, თუ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობით გამოიხატება.

თავის აღნიშნულ წარმატებებს პროფ. რ. გოგოხია მნიშვნელოვნად აკავშირებს აკად. პაატა გუგუშვილთან, როგორც ინსტიტუტის დირექტორთან და ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიისა და ჟურნალისტიკის ენციკლოპედთან მუშაობის პერიოდს, რაც ბ-ნ რევაზისთვის (და, უეჭველია, ბევრისთვის), დიდი აკადემია იყო როგორც პირდაპირი, ასევე, გადატანითი მნიშვნელობით.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ბატონმა რევაზმა აღნიშნული მიმართულებით ნაყოფიერი მუშაობით გარკვეული წვლილი შეიტანა გუგუშვილისეული ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიისა და ეკონომიკური ჟურნალისტიკის დაცვა-განვითარებაში.

აკად. პ. გუგუშვილის მრავალმხრივი შემოქმედების მასაზრდოებელი და განმსაზღვრელი იყო ეროვნული ინტერესები. იგი გაბედულად ებრძოდა მსოფლიოს კოსმოპოლიტურ გლობალიზაციას, როგორც დანაშაულებრივ უპერსპექტივობას, რომლის მიზანია დენაციონალიზებული საზოგადოების ჩამოყალიბება, ყოველგვარი განსაზღვრული რელიგიურ-ზნეობრივი ფასეულობებისა და კულტურულ-ისტორიული ორიენტაციების გარეშე...

ვაი, რომ ეს ყველაფერი დღეს მსოფლიო მასშტაბით „აყვავების" პროცესშია, რაც კაცობრიობის გრანდიოზული დეგრადაციის მანიშნებელი და მომასწავებელია.

პროფესორი რ. გოგოხია თსუ-სა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში კითხულობდა მსოფლიო ეკონომიკის, ეკონომიკური თეორიის, საბაზრო ეკონომიკის, ეკონომიკის, შერეული ეკონომიკის, ეკონომიკის პრინციპების და სხვა კურსებს. ბოლო პერიოდში თსუ-ში უძღვებოდა „აკადემიური წერის" კურსს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებთან.

ბ-ნ რევაზს გავლილი აქვს სამეცნიერო სტაჟირება (დოქტორანტურა) სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში, ასევე, მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვალიფიკაციის ამაღლების კურსები. მონაწილეობდა სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციაში.

მნიშვნელოვანია რ. გოგოხიას წვლილი ქართული ეკონომიკური ჟურნალისტიკის განვითარებაში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგი ჯერ კიდევ ყმაწვილკაცობისას, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მაცნეს" ეკონომიკის სერიის საზოგადოებრივი მდივანი იყო, ხოლო მოგვიანებით ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტის" განყოფილების გამგე. ორივე ჟურნალს რედაქტორობდა აკად. პაატა გუგუშვილი, რომლის ხელმძღვანელობითაც მან მიიღო ფრიად ნაყოფიერი, როგორც ჟურნალისტური, ასევე მეცნიერული წრთობა. პროფ. რ. გოგოხიამ 1999 წელს ჩამოაყალიბა და ათი წლის განმავლობაში იყო დამოუკიდებელი რეცენზირებადი და რეფერირებადი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის – „სოციალური ეკონომიკა" მთავარი რედაქტორი.

და დღეს, ჩვენ, მისი უახლოესი მეგობრები, კვლავაც სავსებით მხარს ვუჭერთ პროფ. რ. გოგოხიას მისაბაძი ცხოვრება-მოღვაწეობის ჯერ კიდევ 75 წლისთავისადმი **„ურიცხვ მოყვასთა სახელით"** – სათაურით – **„საერო პატრიარქი",** პროფესორი რევაზ გოგოხია იუბილარია", – მიძღვნილ მისალმებას, რომელშიც აღნიშნულია:

**„საერო პატრიარქის" ტიტული ბატონმა რევაზმა იმ დროს იბოძა, როცა, მინიმუმ, შიშისმომგვრელი იყო ამ ცნების ხმობაც კი. ერთია, უფალი რომ ინებებს და ყველა პარამეტრით დიდად წარმოგაჩენს – სულიერად, შემოქმედებითად, ფიზიკურად, უშურველად და დაუღალავად, დიახ – დაუღალავად, ანუ ღალის, ბეგარის მარადიულად გადამხდელად, ვალმოხდილად. ბატონი რევაზი არის ისეთი იპოსტასი ჩვენი ერთარსება უნივერსიტეტისა, თეთრისა, ქათქათასი, რომელიც აწ და მარადის ვერანაირ ჭუჭყს, წიკვს ვეღარასოდეს მიიკარებს. ის მარადიული სკოლაა მართლმადიდებლობისა და ასეთად აზროვნების ზეიმი, და, ჩვენ, მისი თანამედროვეები ვართ, რაც ტკივილიან სააქაოსაც და განწმენდილ საიქიოს ზიარების მოლოდინს გვიბედნიერებს"** (გაზ. „ახალი თაობა, 2011, 28 აპრილი). ხელმომწერებია ცნობილი მეცნიერები, თუ სხვა დარგის მოღვაწეები: გ. ფაცაცია, ნ. პაიჭაძე, რ. ქუტიძე, გ. ლაზარტყავა, პ. ბერაია, ა. სილაგაძე, ირ. კალანდია, ვ. რეხვიაშვილი, რ. ანდღულაძე, მ. ჯიქია და ა.შ. (სულ 19).

დიახ! რაც ზემოთ აღინიშნა, სავსებით კანონზომიერი მოვლენაა, რამეთუ ბ-ნი რევაზი ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანია, საიდანაც იღებს სათავეს მისი ყველა ამქვეყნიური სიკეთე. მისი უპირველესი საფიცარი ღვთივკურთხეული საქართველოა და შეძლებისდაგვარად ცდილობს იყოს მსახური დიდი ილიას სენტენციისა – „მამული, ენა, სარწმუნოება", რაც იყო ის ღვთაებრივი საუნჯე, რომლისადმი ერთგულებას მოითხოვდა ჩვენი დიდი ილია ჭავჭავაძე, რასაც აგრეთვე ეხმიანება და აძლიერებს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის იდეა – „ღმერთი, სამშობლო, ადამიანი".

ბუნებრივია, ბატონი რევაზი, უწინარესად, თავისი აღმზრდელი და სამსახურებრივი ზეობის – თსუ-ის მოტრფიალე და თავგამოდებული პატრიოტია. ამიტომაც იყო, რომ როცა „ლიბერასტნაციონალებმა", „დიდი რეფორმის" აზრით სცადეს იავარექმნათ ყოველგვარი ქართული, მათ შორის – ეროვნულობის, სარწმუნოებისა და მეცნიერების ბაირახტარი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბატონი რევაზი უყოყმანოდ, მედგრად და აქტიურად ჩადგა მის დამცველთა რიგებში. ამისთვის მასაც შეეხო საკმაოდ მძიმე რეპრესიები – 2006 წელს, ზემოდან „ახლადდანიშნულ" პროფესორთა რიგებში არ აღმოჩნდა. შემდგომ, როცა სიტუაცია შეიცვალა და თსუ-ის ახალმა ხელმძღვანელობამ შესთავაზა მონაწილეობა მიეღო საპროფესორო კონკურსში, მან თავმდაბლურად განაცხადა, რომ ის საკმაოდ ასაკოვანია და მიუხედავად კარგ ფორმაში ყოფნისა, გზას ახალგაზრდობას უთმობს. აქაც გამოჩნდა მისი დაუფასებელი დიდსულოვნება და ალალი ზრუნვა ქვეყნის მომავალზე.

პროფ. რ. გოგოხია ქართულ საზოგადოებაში ცნობილია როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი, ქართული ტრადიციების უკომპრომისო დამცველი, თავისი დიდი მასწავლებლების დამფასებელი, მაღალი კლასის რედაქტორი, სახელოვანი მეცნიერი და ჭეშმარიტი პედაგოგი, კაცობის, მეგობრობისა და გვერდში დგომის ეტალონი, პრინციპული და მომთხოვნი, სიტყვისა და საქმიანობის ერთობის კაცი, რომელსაც გარს ახვევია მეგობართა დიდი წრე. ყოველივე აღნიშნულთან ერთად, ბატონი რევაზი საამაყო ოჯახის პატრონია (მისი მეუღლე გულნაზი ჯიქია, კარგი მეოჯახე და ექიმი-პედიატრი, სამწუხაროდ, ნაადრევად გარდაიცვალა), სადაც აღიზარდა ორი სასახელო შვილი, რომლებიც მამის მიბაძვით ეკონომიკის დოქტორები გახდნენ. მაიამ ასპირანტურის დამთავრებისა და ხარისხის დაცვის შემდეგ, თსუ-ში ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ფრიად წარმატებული პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობის მრავალი ათეული წელი მიითვალა... და მაღალი ავტორიტეტით სარგებლობს სტუდენტებსა და კოლეგებში. მამუკა კი – საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წამყვანი აუდიტორია და დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს. მათი ოჯახი კი (მეუღლე ქეთი ძაგნიძე საბანკო საქმითაა დაკავებული) 4 ერთიმეორეზე უკეთესი ორი ბიჭითა და ორი გოგოთი ხარობს.

პროფ. რ. გოგოხია დაჯილდოებულია სხვადასხვა ორდენითა და მედლით. მათ შორისაა: ივანე ჯავახიშვილის მედალი, პაატა გუგუშვილის მედალი, ღირსების ორდენი, თსუ-ის ოქროს მედალი. იგი, როგორც მშობლიური ქვეყნის ღირსეული პიროვნება – ცნობილი მეცნიერი, პედაგოგი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწე, შეყვანილია საქართველოს ახალ დიდ ენციკლოპედიაში (საქართველო, ენციკლოპედია, 2012, ტ. 2).

**90 წლის ბ-ნი რევაზი, ღვთის წყალობით, კვლავ მხნედ გამოიყურება და ახალგაზრდული ენერგიით განაგრძობს თავის პროფესიულ საქმიანობას, რაც მთავარია, ურყევია მისი აზრი, რომ მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო მალე გამთლიანდება, სრულად გაბრწყინდება, იგი მზადაა, კვლავ შეიტანოს თავისი მოკრძალებული წვლილი ამ პროცესში. ვუსურვოთ მას ჯანმრთელობა და ახალი წარმატებები ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.**

**უახლოესი მეგობრები**

# შორაპნიდან საჩხერემდე...



**შორაპნიდან ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის გოლო სადგური სოფელ დარკვეთთან – (იქ სადაც წყდება მანგანუმის მოპოვება) – 1894 წლის 14 მაისს საზეიმოდ აკურთხეს, აქედან საჩხერემდე ხუთი კილომეტრიდა რჩებოდა გასაყვანი. ყველა ოცნებობდა საჩხერემდე რკინიგზის გაყვანაზე. ბევრი ცდილობდა განეხორციელებინა ეს ოცნება, მაგრამ ფუჭად, ვიდრე კნეინა ელისაბედ წერეთელმა (ასე უწოდებდნენ თანამედროვენი) არ მოჰკიდა ხელი ამ საქმეს. რამდენადაც ცნობილია, ელისაბედს ამ საკითხის მოგვარებისთვის თავისი დიდი ნათლიის, რუსეთის ხელმწიფის ნიკოლოზ II შეწუხებაც კი მოუხდა.**

**„ნამეტანი სიცოცხლე და შნო საჩხერისთვის მომავალი რკინიგზის გაყვანის იმედს მოუცია“** – იუწყება ჯერ კიდევ 1899 წლის **ჟურნალი „კვალი“** და 1904 წლის იანვრის დამდეგს პირველი მატარებელი შემოსულა საჩხერეში. არანაკლებ სასიხარულო და საინტერესოა ის, რომ პირველ მგზავრებს აქ დახვდათ რკინიგზის შესანიშნავი სადგური, არქიტექტურის ულამაზესი ძეგლი. საჩხერის მცხოვრებლებისთვის განსაკუთრებით დიდი სიხარული განაცდევინა, ისევ დარკვეთთან შეწყვეტილმა ფართოლიანდაგიანი პირველი სამგზავრო ელექტრომატარებლის შემოსვლამ 1958 წელს. ეს იყო მეორე ღირსშესანიშნავი თარიღი საჩხერის რკინიგზის ისტორიაში. „მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა“... 1991 წლის 29 აპრილს მომხდარმა მიწისძვრამ სადგურის შენობა მიწასთან გაასწორა. მიწისძვრას გადაურჩა ორთქლმავლის წყლით შემავსებელი აუზის ორსართულიანი შენობა, რომელიც ყოველდღიურად ელოდება მშველელს, მაგრამ ის არ ჩანს, არც რკინიგზის დეპარტამენტიდან და არც სხვა უწყებიდან.

ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის საჩხერის სადგურში შემოსული სახალხო თუ სატვირთო მატარებლები აქ იღებდნენ შორაპნიდან საჩხერემდე მოსასვლელად დახარჯული წყლის მარაგს. აღსანიშნავია, რომ ჩიხურის შენაკადი დუნთურის ხეობაში არსებული წყაროებიდან 3 კმ-ის მანძილზე იყო გაყვანილი წყალსადენის ეს მაგისტრალი. მართალია, სადგურის შენობა 10 წლის შემდეგ პირვანდელი სახით აღადგინა რკინიგზის დეპარტამენტმა, მისი დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარის აკაკი ჩხაიძის ყოველდღიური ზრუნვით, მაგრამ შველას ითხოვს ჯერ კიდევ ფეხზე მდგომი ორთქლმავლების წყლით შემავსებელი ორსართულიანი შენობა, რომლის მსგავსი ალბათ თითზე ჩამოსათვლელია ჩვენს ქვეყანაში.

**იმედია, რკინიგზის დეპარტამენტი იმ დიდ ამოცანებთან ერთად, რაც ამ რამდენიმე დღის წინ გამოაქვეყნეს, საჩხერლების თხოვნასაც გულისყურით მოეკიდებიან, რითაც კიდევ ერთ სიხარულს მოგვანიჭებენ იმერლებს.**



**ცეზარ ლაშხი,**

ს.ს.ი.პ. აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი

24.04.2026 წელი

# ხოტევიდან – მარადისობაში



**შეგეწიოთ ყოვლად წმინდა, ხოტევი და ნიკორწმინდაო – ამ ღვთიური სტრიქონებით ამთავრებს სუფრას რაჭველი თამადა, რომელიც ჩემთვის ზღაპრული სილამაზის მშობლიურ კუთხესთან და მის ალალ, ღირსეულ შვილებთან ასოცირდება, თვალისჩინივით რომ უფრთხილდებიან საუკუნეების განმავლობაში შემონახულ ძირძველ ქართველთა საამაყო ტრადიციებს.**

იცოცხლეთ, სადღეგრძელოში ძირითადი სათქმელის მოქცევა შედარებით ადვილია, მაგრამ აბა, სცადეთ, საქმით დაამტკიცოთ წინაპართა ნაანდერძევის ერთგულება. დამეთანხმებით, ეს ერთეულთა ხვედრია.

**რიმიკო (ზაურ) გურგენიძე** ჭაბუკი გახლდათ, დედაქალაქში რომ შეუდგა მკაცრი ცხოვრებისეული გზის გაკვალვას და შრომის ყადრმა, მონდომებამ და საქმის სიყვარულმა გამორჩეული პროფესიონალის სახელი მალევე დაუმკვიდრა, განსაკუთრებული ავტორიტეტი კი სახელგანთქმულ „კოლმშენის“ სისტემაში მოღვაწეობით დაიმსახურა, რომელსაც დარგის აღიარებული ლიდერები – **იოსებ ხარატიშვილი** და **თენგიზ კანდელაკი** თავკაცობდნენ.

სიმბოლურია, რომ კომპლექტაციის სამმართველოს სელექციის ნიჭით დაჯილდოებულ უფროსს საკუთარი სამსახური სამაგალითო კადრებით ჰყავდა დაკომპლექტებული: ილია ხუბულაშვილი, დავით ვაშაძე, არმაზ ნარჩემაშვილი, ბაკურ ხარშილაძე, ნემო სოზიაშვილი, კიაზო ტავლალაშვილი, თენგიზ ვასაძე – აი, ის ბირთვი, უნარიანი ხელმძღვანელის ძირითად საყრდენს რომ წარმოადგენდა და მის მომთხოვნელობასა და სიმკაცრე – პრინციპულობას სამართლიანობაზე დაფუძნებული კოლეგიალური ურთიერთობის ჩარჩოებში აქცევდა.

**დაუვიწყარი ფაქტი:** წელიწადში ერთხელ სათავო ოფისში მორიგეობა ყველა სამმართველოს თითოეულ თანამშრომელს გვიწევდა და ჩვენს მოვალეობას გაერთიანების თავმჯდომარის მისაღებში სამთავრობო ტელეფონზე შაბათ-კვირას განხორციელებული ზარების აღრიცხვა შეადგენდა. უკვე მოსაღამოვდა და ვალის მოხდის შემდეგ სახლში წასვლას ვაპირებდი, მეგობრებმა რომ შემომიარეს და წასახემსებლად დავჯექით. უკვე ფინიშზე ვიყავით გასულნი, ბატონი სოსო ხარატიშვილი რომ მობრძანდა და გაფითრებულს კაბინეტში შემიძღვა.

– შვილო, შენ ისეთი უფროსი გყავს, მე რა უნდა გასწავლო – ამ სიტყვებით საშვილიშვილო გაკვეთილი ჩამიტარა, შემდეგ მაცივრიდან კონიაკის ბოთლი გამოიღო და ბიჭებთან გამატანა...

სხვათა შორის, როცა მოგვიანებით, როგორც დინამოს ყოფილ პრეზიდენტსა და საკანონმდებლო ორგანოს წევრს პარლამენტში ჩვენი გაზეთის ინტერვიუსთვის ვეწვიე, შესვლისთანავე მიცნო და კიდევ ერთხელ გაიხსენა თბილად ძვირფასი „დავიდოვიჩი“.

და ბოლოს – **ზაურ და ჯილდა (ჩიტო) გურგენიძეების** მართლაც შესანატრი შთამომავლობით მადლმოსილი და უკვდავყოფილი ოჯახი, რომლის შესახებაც საზოგადოებაში ლეგენდები დადის. დიახ, საკმარისი იყო ერთხელ მაინც შეგებიჯებინა იმათი მიზიდულობის ცენტრში, რომ დარწმუნდებოდი სიყვარულის მარადიულობაში. მნიშვნელობა არ ჰქონდა – ნათესავი იყავი, მეგობარი, მეზობელი თუ, უბრალოდ, რიგითი სტუმარი – იქიდან იმედით, სიკეთითა და დადებითი ემოციებით დამუხტული გამოდიოდი.

**უტკბილესო ზაური ბიძია! ვეცადე, მაგრამ მაპატიე, რომ ამჯერად მეტ სათქმელს ვერ მოვაბი თავი – თქვენ ხომ ღვიძლი შვილივით დამაბერტყეთ მშობლიური ამაგი.**

**მართალთა საუფლოში მადლიერებით გილოცავთ 90-ე გაზაფხულს!**

**გია პლატონიშვილი**

# ხულოში ამაგდარ ადამიანებს მოეფერნენ!

**ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით, ღვაწლმოსილი ადამიანებისადმი მიძღვნილი ღონისძიება „ამაგდარი“ გაიმართა,** – ინფორმაციას ხულოს მერია ავრცელებს.

**„თქვენი ღვაწლი არის მაგალითი მომავალი თაობებისთვის და თითოეული ჩვენგანისთვის. სწორედ თქვენი მრავალწლიანი შრომით, ერთგულებითა და პასუხისმგებლობით შენდება ძლიერი და განვითარებული საზოგადოება. თქვენ მიერ გაწეული საქმეები ფასდაუდებელია და განსაკუთრებულ პატივისცემას იმსახურებს. გულწრფელ მადლობას გიხდით ყველაფრისთვის, რაც ჩვენს მუნიციპალიტეტს და თითოეულ მოქალაქეს გაუკეთეთ“,** – განაცხადა **ვახტანგ ბერიძემ.**

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა დაჯილდოების ცერემონია, სადაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები 22 მოქალაქე მადლობის სიგელებით დაჯილდოვდა. აღსანიშნავია, რომ დაჯილდოვდნენ ადამიანები, რომლებმაც საკუთარი ცხოვრება ადამიანებზე ზრუნვასა და საზოგადოებრივ საქმიანობას მიუძღვნეს. ღვაწლმოსილი ადამიანების პატივსაცემად, ხულოს კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მონაწილეობით კონცერტი გაიმართა.

ღონისძიებას, ხულოს მუნიციპალიტეტის მერთან ვახტანგ ბერიძესთან ერთად, საქართველოს პარლამენტის წევრი ანზორ ბოლქვაძე, საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძე, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.





# ბაბლუანების „ფოფოდიას შვილებმა“ საფრანგეთში ჯილდო დაიმსახურა

**კულტურის მინისტრი თინათინ რუხაძე დოკუმენტური ფილმის – „ფოფოდიას შვილების“ პრემიერას დაესწრო. ფილმის ავტორი და რეჟისორია სოფო ბაბლუანი, პროდიუსერი – ბელა ბაბლუანი.**

ფილმი თამარ მეფის სახელობის სკოლა-გიმნაზიისა და მისი მოსწავლეების შესახებ მოგვითხრობს და ასახავს საქართველოსა და თურქეთის საზღვარზე მცხოვრები ქრისტიანი და მუსლიმი ახალგაზრდების ყოველდღიურობას, მათ ურთიერთობას.

**„ფოფოდიას შვილების“** საერთაშორისო პრემიერა საფრანგეთში გაიმართა. ფილმმა კინოფესტივალზე RELIGION TODAY („რელიგია დღეს“) წარმომადგენლობითი ჯილდო მიიღო კატეგორიაში რწმენის სული“.

**„ეს არის ფილმი სიკეთეზე, ადამიანობაზე, სიყვარულზე. ახალგაზრდები, რომელთა შესახებ ამ ფილმშია მოთხრობილი, უმთავრესი ღირებულების – სიყვარულის ერთგულნი რჩებიან. მოძღვარი და ფოფოდია მათთვის მაგალითის მიმცემები არიან. სიყვარულისა და ტოლერანტობის იდეა ამ ფილმის მთავარი ღერძია. მადლობას ვუხდი სოფო ბაბლუანსა და შემოქმედებით ჯგუფს დაუვიწყარი ემოციებისთვის“,** – განაცხადა **თინათინ რუხაძემ.**

ფილმი წარმოადგენს საქართველოსა და საფრანგეთს შორის კოპროდუქციას და შექმნილია პარიზის რეგიონული ფონდის მხარდაჭერით.





## დონალდ ტრამპი:
# პრეზიდენტობა სახიფათოა, მაგრამ მე მიყვარს ეს ქვეყანა და ძალიან ვამაყობ!

**თეთრი სახლის კორესპონდენტების სადილზე განხორციელებული სროლის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელსაც თავად ესწრებოდა, ტრამპმა ხუმრობით თქვა, რომ სცოდნოდა, პრეზიდენტობა საშიში იყო, „შეიძლება არც ეყარა კენჭი“.**

დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ მას და მის გუნდს არ ჰქონდათ ინფორმაცია სროლის ინციდენტამდე რაიმე სახის მუქარის შესახებ.

**„რამდენიმე იარაღით შეიარაღებულმა ახალგაზრდა კაცმა უსაფრთხოების საკონტროლო პუნქტს შეუტია და ის საიდუმლო სამსახურის რამდენიმე ძალიან მამაცმა წევრმა გაანეიტრალა, რომლებმაც ძალიან სწრაფად იმოქმედეს. კაცი დააკავეს. ვფიქრობ, კალიფორნიაში ცხოვრობს. ის ავადმყოფია, ძალიან ავადმყოფი. ერთი ოფიცერი დაჭრეს, მაგრამ გადაარჩინა იმ ფაქტმა, რომ მას აშკარად ძალიან კარგი ტყვიაგაუმტარი ჟილეტი ეცვა. მას ძალიან ახლო მანძილიდან ესროლეს ძალიან ძლიერი იარაღიდან და ჟილეტმა თავისი საქმე გააკეთა. ახლახან ვესაუბრე ოფიცერს და ის შესანიშნავად გრძნობს თავს, შესანიშნავ ფორმაშია. ვინ გააკეთებდა ამას, თუ არა ავადმყოფი? მაგრამ მე ვფიქრობ, რომ თქვენ მის შესახებ ყველაფერს გაიგებთ. როგორც ჩანს, ფიქრობენ, რომ ის მარტო მოქმედებდა და მეც ამას ვგრძნობ. ჩვენ განვიხილეთ ყველა ის პირობა, რაც დღეს საღამოს მოხდა და ვიტყვი, რომ იცით, ეს არ არის განსაკუთრებით უსაფრთხო შენობა და არ მინდოდა ამის თქმა, მაგრამ სწორედ ამიტომ უნდა გვქონდეს თეთრ სახლში ყველა ატრიბუტი. მათ ეს საბანკეტო დარბაზი 150 წლის განმავლობაში სურდათ მრავალი მიზეზის გამო, მაგრამ დღეს ცოტა განსხვავებულია, რადგან დღეს ჩვენ გვჭირდება უსაფრთხოების ისეთი დონე, როგორიც ალბათ აქამდე არავის უნახავს“,** – აღნიშნა აშშ-ის პრეზიდენტმა.

აშშ-ის პრეზიდენტმა ქვეყნის მოსახლეობას მოუწოდა, აღმოფხვრან საზოგადოებაში არსებული უთანხმოებები.

**„დღევანდელი მოვლენების გათვალისწინებით, მე ვთხოვ ყველა ამერიკელს, კიდევ ერთხელ გულითადად ჩაერთოს ჩვენი უთანხმოების მშვიდობიანად მოგვარებაში. ჩვენ უნდა მოვაგვაროთ ჩვენი უთანხმოებები. ვიტყვი, რომ გყავთ რესპუბლიკელები, დემოკრატები, დამოუკიდებლები, კონსერვატორები, ლიბერალები და პროგრესულები. ეს სიტყვები, შესაძლოა, ურთიერთშემცვლელი იყოს, მაგრამ ვინც იმ ოთახში იმყოფებოდა, დიდი შეკრება გახლდათ, ეს იყო უზარმაზარი სიყვარული და ერთად შეკრება, ვუყურე და ამან ძალიან, ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე“,** – განაცხადა **დონალდ ტრამპმა.**



# სროლაში ეჭვმიტანილმა პირმა ტრამპისტებს შეუტია!

**აშშ-ში სროლაში ეჭვმიტანილმა პირმა სამართალდამცველებს განუცხადა, რომ მისი სამიზნე აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპთან დაკავშირებული ოფიციალური პირები იყვნენ,** – ამის შესახებ ინფორმაციას ამერიკული მედია ავრცელებს.

ინციდენტის დროს, სულ მცირე, ხუთიდან რვამდე გასროლა განხორციელდა. აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტები და პოლიციის თანამშრომლები კალიფორნიაში ჩხრეკენ ბინას, რომელიც, სავარაუდოდ, დაკავშირებულია თავდამსხმელთან. ვაშინგტონის შტატის პროკურორი ჯანინ პირო აცხადებს, რომ ეჭვმიტანილს ბრალი წაუყენეს ორ საქმეში – ძალადობრივი დანაშაულის დროს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებასა და ფედერალურ ოფიცრებზე იარაღის გამოყენებით თავდასხმაში. პროკურორის თქმით, ეჭვმიტანილი 27 აპრილს ფედერალური სასამართლოს წინაშე წარდგება.

ეჭვმიტანილი 31 წლის **კოულ ტომას ალენია. სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებული მასალებიდან ირკვევა, რომ ის ლოს ანჯელესის მახლობლად, კალიფორნიის შტატის ქალაქ ტორენსში მასწავლებელი იყო.**

# საჯარო შეტყობინება აუქციონის დანიშვნის შესახებ

**წინამდებარე შეტყობინებით, შპს „ემჯი ჰოლდინგი“, როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 302-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სპეციალისტი, ამ შეტყობინებაში მითითებულ კრედიტორს, სარეალიზაციო უძრავი ქონების მესაკუთრეს, მოვალეს და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ატყობინებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-$306^{1}6$ მუხლების საფუძველზე, კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ნათია შარაშიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

**აუქციონის პირობები:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნათია შარაშიძე (პ/ნ 37001021390), სამტრედია, ჯ. ვაშაკიძის ქ. N1

**2. უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** სამტრედია, ჯ. ვაშაკიძის ქ. N1 მდებარე სასოფლო - სამეურნეო (საკარმიდამო) დანიშნულების მიწის ნაკვეთი დაზუსტებული ფართობით 476 კვ.მ და შენობა-ნაგებობა (საკადასტრო კოდი: 34.08.56.302)

**3. უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**4. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 26515.6 ლარი.

**5. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2026 წლის 27 აპრილი, 12:00 საათი.

**6. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2026 წლის 15 მაისი, 14:00 საათი.

**7. აუქციონის ჩატარების ფორმა და მონაცემები:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის **N71271HZP126342426**; აუქციონის ნომერი: 71271; ლოტის ნომერი: 1263424)

**8. მოვალე:** ნათია შარაშიძე (პ/ნ 37001021390), სამტრედია, ჯ. ვაშაკიძის ქ. N1;
იმედი ბერიშვილი (პ/ნ 58001028812), ხობი, ს. ოხვამეკარი, იაკობ გოგებაშვილის ქ. N1

**9. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

10. აუქციონის პირობები:

10.1 აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

10.2 მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

10.3 აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი ს/ს „ლიბერთი ბანკი“.

10.4 აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (სს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი **GE17TB1188736020100003**). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

10.5 აუქციონი გაუქმდება, თუ აუქციონის შესახებ განცხადების შემტანი კრედიტორი უკან გაიტანს მას.

10.6 აუქციონი შეწყდება, თუ აუქციონის ჩატარებამდე მოვალე ან მესამე პირი, რომელიც უფლებამოსილია, დააკმაყოფილოს კრედიტორი, გადაიხდის მის დასაკმაყოფილებლად და ყველა სხვა ხარჯის დასაფარავად საჭირო თანხას.

10.7 ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები 2026 წლის 15 მაისის 10:00 საათამდე წარმოადგინოს შპს „ემჯი ჰოლდინგში“, მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. 40, სართული 11.

# საჯარო შეტყობინება აუქციონის დანიშვნის შესახებ

**წინამდებარე შეტყობინებით, შპს „ემჯი ჰოლდინგი“, როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 302-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სპეციალისტი, ამ შეტყობინებაში მითითებულ კრედიტორს, სარეალიზაციო უძრავი ქონების მესაკუთრეს, მოვალეს და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ატყობინებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-$306^{1}6$ მუხლების საფუძველზე, კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს ომარ თოდუას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ომარ თოდუა (პ/ნ 62005026533), ზუგდიდის რაიონი, ს. ორულუ, მერაბ კოსტავას ქუჩა N17

**2. უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** ზუგდიდის რაიონი, სოფელ ორულუში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი დაზუსტებული ფართობით 4567კვ.მ (საკადასტრო კოდი: 43.27.41.570)

**3. უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**4. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 5000 ლარი.

**5. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2026 წლის 27 აპრილი, 12:00 საათი.

**6. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2026 წლის 15 მაისი, 15:00 საათი.

**7. აუქციონის ჩატარების ფორმა და მონაცემები:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის **N71271HZP126345526**; აუქციონის ნომერი: 71271; ლოტის ნომერი: 1263455)

**8. მოვალე:** ომარ თოდუა (პ/ნ 62005026533), ზუგდიდის რაიონი, სოფელი ორულუ, მერაბ კოსტავას ქუჩაN17;
ვალერი თოდუა (პ/ნ 62005021853), ზუგდიდის რაიონი, სოფელი ორულუ;
ონისე თოდუა (პ/ნ 62005026532), ზუგდიდის რაიონი, სოფელი ორულუ;
ლარისა ესართია (პ/ნ 62005005502), ზუგდიდის რაიონი, სოფელი ორულუ.

**9. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

10. აუქციონის პირობები:

10.1 აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

10.2 მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

10.3 აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი ს/ს „ლიბერთი ბანკი“.

10.4 აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (სს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი **GE17TB1188736020100003**). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

10.5 აუქციონი გაუქმდება, თუ აუქციონის შესახებ განცხადების შემტანი კრედიტორი უკან გაიტანს მას.

10.6 აუქციონი შეწყდება, თუ აუქციონის ჩატარებამდე მოვალე ან მესამე პირი, რომელიც უფლებამოსილია, დააკმაყოფილოს კრედიტორი, გადაიხდის მის დასაკმაყოფილებლად და ყველა სხვა ხარჯის დასაფარავად საჭირო თანხას.

10.7 ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2026 წლის 15 მაისის 10:00 საათამდე.

# საჯარო შეტყობინება აუქციონის დანიშვნის შესახებ

**წინამდებარე შეტყობინებით, შპს „ემჯი ჰოლდინგი", როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 302-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სპეციალისტი, ამ შეტყობინებაში მითითებულ კრედიტორს, სარეალიზაციო უძრავი ქონების მესაკუთრეს, მოვალეს და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ატყობინებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე, კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის" განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს მუსრადინ სარდაროვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მუსრადინ სარდაროვი (პ/ნ 20001009306), თელავის რაიონი, სოფელი ყარაჯალა, 35-ე ქ. N17

**2. უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** თელავის რაიონი, სოფელ ყარაჯალაში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (საკარმიდამო) დანიშნულების მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობასთან ერთად. მიწის ნაკვეთის დაზუსტებული ფართობი: 1205 კვ.მ. შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1; N2; სხვა ფართი: გაშენების ფართი: N1-239 კვ.მ; N2-120 კვ.მ.; საერთო ფართი: N1-333.2 კვ.მ.; N2-96 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 53.10.38.158)

**3. უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**4. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 12149.36 ლარი.

**5. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2026 წლის 27 აპრილი, 12:00 საათი.

**6. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2026 წლის 15 მაისი, 14:30 საათი.

**7. აუქციონის ჩატარების ფორმა და მონაცემები:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის **N71271HZP126343626**; აუქციონის ნომერი: 71271; ლოტის ნომერი: 1263436)

**8. მოვალე:** მუსრადინ სარდაროვი (პ/ნ 20001009306), თელავის რაიონი, სოფელი ყარაჯალა, 35-ე ქ. N17.

**9. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

10. აუქციონის პირობები:

10.1 აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

10.2 მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

10.3 აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი ს/ს „ლიბერთი ბანკი".

10.4 აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (სს „თიბისი ბანკი", ანგარიშის ნომერი **GE17TB1188736020100003**). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

10.5 აუქციონი გაუქმდება, თუ აუქციონის შესახებ განცხადების შემტანი კრედიტორი უკან გაიტანს მას.

10.6 აუქციონი შეწყდება, თუ აუქციონის ჩატარებამდე მოვალე ან მესამე პირი, რომელიც უფლებამოსილია, დააკმაყოფილოს კრედიტორი, გადაიხდის მის დასაკმაყოფილებლად და ყველა სხვა ხარჯის დასაფარავად საჭირო თანხას.

10.7 ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2026 წლის 15 მაისის 10:00 საათამდე.

---

# საჯარო შეტყობინება აუქციონის დანიშვნის შესახებ

**წინამდებარე შეტყობინებით, შპს „ემჯი ჰოლდინგი", როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 302-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სპეციალისტი, ამ შეტყობინებაში მითითებულ კრედიტორს, სარეალიზაციო უძრავი ქონების მესაკუთრეს, მოვალეს და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ატყობინებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე, კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის" განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს ზურაბ ეგნატაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

**აუქციონის პირობები:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ზურაბ ეგნატაშვილი (პ/ნ 43001004323), ქარელის რაიონი, სოფელი რუისი, მე-40 ქუჩა N56

**2. უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** ქარელის რაიონი, სოფელ რუისში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი დაზუსტებული ფართობით 800.00 კვ.მ (საკადასტრო კოდი: 68.15.53.000.345)

**3. უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**4. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 5000 ლარი.

**5. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2026 წლის 27 აპრილი, 12:00 საათი.

**6. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2026 წლის 15 მაისი, 15:15 საათი.

**7. აუქციონის ჩატარების ფორმა და მონაცემები:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის **N71271HZP126345926**; აუქციონის ნომერი: 71271; ლოტის ნომერი: 1263459)

**8. მოვალე:** ზურაბ ეგნატაშვილი (პ/ნ 43001004323), ქარელის რაიონი, სოფელი რუისი, მე-40 ქუჩა N56;

ხათუნა ეგნატაშვილი (პ/ნ 43001037158), ქარელის რაიონი, სოფელი რუისი, მე-40 ქუჩა N56

**9. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

**10. აუქციონის პირობები:**

10.1 აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

10.2 მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

10.3 აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი ს/ს „ლიბერთი ბანკი".

10.4 აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (სს „თიბისი ბანკი", ანგარიშის ნომერი **GE17TB1188736020100003**). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

10.5 აუქციონი გაუქმდება, თუ აუქციონის შესახებ განცხადების შემტანი კრედიტორი უკან გაიტანს მას.

10.6 აუქციონი შეწყდება, თუ აუქციონის ჩატარებამდე მოვალე ან მესამე პირი, რომელიც უფლებამოსილია, დააკმაყოფილოს კრედიტორი, გადაიხდის მის დასაკმაყოფილებლად და ყველა სხვა ხარჯის დასაფარავად საჭირო თანხას.

10.7 ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2026 წლის 15 მაისის 10:00 საათამდე.

---

# საჯარო შეტყობინება აუქციონის დანიშვნის შესახებ

**წინამდებარე შეტყობინებით, შპს „ემჯი ჰოლდინგი", როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 302-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სპეციალისტი, ამ შეტყობინებაში მითითებულ კრედიტორს, სარეალიზაციო უძრავი ქონების მესაკუთრეს, მოვალეს და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ატყობინებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე, კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის" განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ვასილ ჩუთლაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

**აუქციონის პირობები:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ვასილ ჩუთლაშვილი (პ/ნ 40001030241), თბილისი, ფიროსმანის ქ. N13

**2. უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** სიღნაღის რაიონი, სოფელ ნუკრიანში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (საკარმიდამო) დანიშნულების მიწის ნაკვეთი დაზუსტებული ფართობით 1000 კვ.მ და შენობა-ნაგებობები: N1-67 კვ.მ, N2-13 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 56.13.42.362)

**3. უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**4. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 32226.43 ლარი.

**5. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2026 წლის 27 აპრილი, 12:00 საათი.

**6. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2026 წლის 15 მაისი, 14:15 საათი.

**7. აუქციონის ჩატარების ფორმა და მონაცემები:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის **N71271HZP126342726**; აუქციონის ნომერი: 71271; ლოტის ნომერი: 1263427)

**8. მოვალე:** ვასილ ჩუთლაშვილი (პ/ნ 40001030241), თბილისი, ფიროსმანის ქ. N13.

**9. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

10. აუქციონის პირობები:

10.1 აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

10.2 მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

10.3 აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი ს/ს „ლიბერთი ბანკი".

10.4 აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (სს „თიბისი ბანკი", ანგარიშის ნომერი **GE17TB1188736020100003**). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

10.5 აუქციონი გაუქმდება, თუ აუქციონის შესახებ განცხადების შემტანი კრედიტორი უკან გაიტანს მას.

10.6 აუქციონი შეწყდება, თუ აუქციონის ჩატარებამდე მოვალე ან მესამე პირი, რომელიც უფლებამოსილია, დააკმაყოფილოს კრედიტორი, გადაიხდის მის დასაკმაყოფილებლად და ყველა სხვა ხარჯის დასაფარავად საჭირო თანხას.

10.7 ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები 2026 წლის 15 მაისის 10:00 საათამდე წარმოადგინოს შპს „ემჯი ჰოლდინგში", მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. 40, სართული 11.

---

# საჯარო შეტყობინება აუქციონის დანიშვნის შესახებ

**წინამდებარე შეტყობინებით, შპს „ემჯი ჰოლდინგი", როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 302-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სპეციალისტი, ამ შეტყობინებაში მითითებულ კრედიტორს, სარეალიზაციო უძრავი ქონების მესაკუთრეს, მოვალეს და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ატყობინებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე, კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის" განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს მარიამ ბადალოვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მარიამ ბადალოვი (პ/ნ 57001016607), გორის რაიონი, სოფელი ოთარშენი

**2. უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** გორის რაიონი, სოფელ ვარიანში მდებარე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი დაზუსტებული ფართობით 3509 კვ.მ (საკადასტრო კოდი: 66.43.05.000.303)

**3. უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**4. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 16019.99 ლარი.

**5. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2026 წლის 27 აპრილი, 12:00 საათი.

**6. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2026 წლის 15 მაისი, 14:45 საათი.

**7. აუქციონის ჩატარების ფორმა და მონაცემები:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის **N71271HZP126344026**; აუქციონის ნომერი: 71271; ლოტის ნომერი: 1263440)

**8. მოვალე:** ქრისტინე ბადალოვი (პ/ნ 57001006144), გორის რაიონი, სოფელი ოთარშენი;
ბონდო ბადალოვი (პ/ნ 59001013277), გორის რაიონი, სოფელი ვარიანი;
მარიამ ბადალოვი (პ/ნ 57001016607), გორის რაიონი, სოფელი ოთარშენი.

**9. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

10. აუქციონის პირობები:

10.1 აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

10.2 მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

10.3 აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი ს/ს „ლიბერთი ბანკი".

10.4 აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (სს „თიბისი ბანკი", ანგარიშის ნომერი **GE17TB1188736020100003**). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

10.5 აუქციონი გაუქმდება, თუ აუქციონის შესახებ განცხადების შემტანი კრედიტორი უკან გაიტანს მას.

10.6 აუქციონი შეწყდება, თუ აუქციონის ჩატარებამდე მოვალე ან მესამე პირი, რომელიც უფლებამოსილია, დააკმაყოფილოს კრედიტორი, გადაიხდის მის დასაკმაყოფილებლად და ყველა სხვა ხარჯის დასაფარავად საჭირო თანხას.

10.7 ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2026 წლის 15 მაისის 10:00 საათამდე.

# ყულაბა ივსება



**ბათუმში მიმდინარე ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატის მე-5 საშეჯიბრო დღეს საქართველოს ნაკრების მონაგარი 6 მედლამდე გაამრავლეს 88 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ვაჟებმა (2 ოქრო, 1 ვერცხლი და 3 ბრინჯაო).**

განსაკუთრებით გაგვახარა **ზურაბ მსხალაძის** მოპოვებულმა ოქრომ (აკვრაში) და ვერცხლმა (ორჭიდში), **მანუჩარ გოგოხია** კი ატაცში ბრინჯაოს დაეუფლა და ორჭიდში მე-4 შედეგი აჩვენა.

ასევე მცირედი დააკლდა პრიზიორობამდე 77 კილოგრამი წონითი კატეგორიის ჯვაროსან მანდილოსანს **მარიამ ხორავას.** მან ორივე მოძრაობაში მე-4 ადგილები დაიკავა, რამაც ორჭიდში მე-5 პოზიცია მოუტანა.

გუშინ ფორუმის ფინიშზე ვერცხლი (ატაცში) და ბრინჯაო (ორჭიდში) **ანასტასია გოტფრიდმა** (86 კგ) დაიმსახურა.



# ბრინჯაოს თაიგული

**თავისუფალ ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონატზე აკაკი ქემერტელიძემ და გივი მაჭარაშვილმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.**

ქემერტელიძემ (70 კგ) ჯერ რეპეშაჟში 4:0 მოუგო რუს გიორგი კოლიევს, ხოლო შემდეგ მედლისთვის ბრძოლაში ასევე 4:0 აჯობა უკრაინელ ოლექსი ბორუტას.

მაჭარაშვილმა (97 კგ) დასკვნით შეხვედრაში უნგრელი რიჩარდ ვეგი 5:3 დაამარცხა და კონტინენტის პირველობაზე მედალს დაეუფლა.

ბრინჯაოსთვის შეხვედრაში დამარცხდა რობერტ დინგაშვილი (57 კგ), რომელმაც არიან ტიუტრითან ვერაფერი გააწყო (3:8), ხოლო რეპეშაჟში წააგეს თავიანთი შეხვედრები ნიკა ზაქაშვილმა (65 კგ) და ტარიელ გაფრინდაშვილმა (79 კგ).

საქართველოს მონაგარი 2 ბრინჯაოს მედალია, ჩემპიონატის ბოლო დღეს კი, კიდევ 3 ბრინჯაოს შანსი არსებობს, რომლისთვისაც გიორგი ელბაქიძე (74 კგ), ვლადიმერ გამყრელიძე (86 კგ) და მირიან მაისურაძე (92 კგ) იბრძოლებენ.

მანამდე, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე 3 ვერცხლი და 2 ბრინჯაო მოიპოვა, თუმცა, ოქროს მედალი ქართველებმა ვერც აქ მოიპოვეს.

# საფეხბურთო მოზაიკა

**საბერძნეთის თასის ფინალში „ოფიმ“ სალონიკის „პაოკი“ დაძაბულ ბრძოლაში 3:2 დაამარცხა და 39 წლის შემდეგ ტიტული მოიგო.**

მატჩის ძირითადი დრო ფრედ 2:2 დასრულდა და ყველაფერი გადაწყვიტა „ოფის“ მიერ 107-ე წუთზე გატანილმა პენალტმა. კრეტელებმა 3:2 გაიმარჯვეს. **ლევან შენგელია** ძირითად შემადგენლობაში იყო და 105-ე წუთზე შეცვალეს. „ოფიმ“ 1987 წლის შემდეგ პირველად მოიგო საბერძნეთის თასი, ისტორიაში კი მეორედ.

* * *

**„სენტ ეტიენი“ ლიგა 2-ის 32-ე ტურში საკუთარ მოედანზე უშუალო კონკურენტ „ტრუასთან“ 0:3 დამარცხდა და ზედიზედ მეორე თამაში წააგო, ხოლო ზურიკო დავითაშვილმა ტრავმა მიიღო.**

ქართველი შემტევი ძირითად შემადგენლობაში იყო, მაგრამ ტრავმის გამო მე-16 წუთზე შეცვალეს. ჯერ უცნობია დაზიანების ხარისხი და თუ რამდენ ხანს მოუწევს უქმობა.

ზურიკო დავითაშვილს ლიგა 2-ის მიმდინარე სეზონში 28 მატჩში 13 გოლი აქვს გატანილი და 4-ჯერ საგოლე პასი გააკეთა. ქართველი 13 გოლით ბომბარდირთა დავაში მესამე ადგილზეა. ზურიკომ ერთი გოლი საფრანგეთის თასზეც გაიტანა.

„სენტ ეტიენი“ 57 ქულით მესამე ადგილზე ჩამოქვეითდა, „ლე მანს“ ერთი ქულით ჩამორჩა. მესამე ადგილი კი ლიგა 1-ში გადასასვლელი არ არის, მხოლოდ პლეი-ოფში მონაწილეობის უფლებას იძლევა. მომდევნო ტურში „მწვანეები“ 2 მაისს, „როდეზს“ ესტუმრებიან.

თავის მხრივ, „ტრუამ“ უკვე მოიპოვა ლიგა 1-ის საგზური და ფრანგული ფეხბურთის ელიტაში დაბრუნდა.

* * *

**„ჰაიდენჰაიმის“ თავდამსხმელმა ბუდუ ზივზივაძემ ბუნდესლიგის 31-ე ტურში „ზანქტ პაულისთან“ გოლის და გამარჯვების (2:0) შემდეგ კომენტარი გააკეთა.**

ქართველმა ფორვარდმა ბუნდესლიგაში ზედიზედ მესამე შეხვედრაში გამოიჩინა თავი და გუნდს ადგილის შენარჩუნებისთვის ბრძოლაში ეხმარება:

**„სამი ქულა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო და ამ გამარჯვებით შვებით ამოვისუნთქეთ. კარგად ვითამაშეთ და**



**ბოლო სამ თამაშშიც ყველაფერს გავაკეთებთ. სწრაფმა გოლმა თავდაჯერებულობა შეგვმატა. მიუნხენში შემდეგი თამაში ჩვენთვის ძალიან რთული იქნება, მაგრამ ბოლომდე ვიბრძოლებთ და არ დავნებდებით“,** – თქვა ბუდუმ.

შეგახსენებთ, რომ ბუდუ ზივზივაძემ სეზონში მეოთხე გოლი გაიტანა, მათ შორის, ზედიზედ მესამე, რადგან წინა ტურში „ფრაიბურგის“ კარი დალაშქრა, იქამდე, „უნიონსაც“ გაუტანა. კარიერაში მას ბუნდესლიგაში 6 გოლი აქვს, 4 მიმდინარე (17 მატჩში) და 2 გასულ სეზონში (ასევე 17 მატჩში, ოღონდ, შარშან 3 საგოლე პასიც ჰქონდა).

„ჰაიდენჰაიმი“ 22 ქულით ბოლო ადგილზე რჩება, მაგრამ პლეი-აუტის ზონაში მყოფ „ზანქტ პაულის“ 4 ქულით ჩამორჩება და თეორიულ შანსს ისევ ინარჩუნებს. მომდევნო ტურში ფრანკ შმიდტის გუნდი 2 მაისს, „ბაიერნს“ სტუმრად შეხვდება.

* * *

**„პარი სენ-ჟერმენის“ მთავარმა მწვრთნელმა ლუის ენრიკემ „ანჟერთან“ მატჩამდე (3:0) პრესკონფერენცია გამართა და ხვიჩა კვარაცხელიაზეც ისაუბრა.**

როგორც მან თქვა, მწვრთნელისთვის სიამოვნებაა გუნდში მისნაირი ფეხბურთელის ყოლა:

**„თქვენ კვარაცხელიათი ხართ დაინტერესებული, მაგრამ ის ბრაზილიელი არ არის (ჟურნალისტი ბრაზილიელია – რედ). ის სხვა ტიპის მოთამაშეა. ვიცოდით მისი თვისებების შესახებ. ის მეომარია, ბურთით დადებით ემოციებს გადმოსცემს. როდესაც მასთან კონტრაქტი გავაფორმეთ, უკვე ვიცოდით მისი თვისებები. ის არის მოთამაშე, რომელსაც ბურთის მიმართაც ძალიან პოზიტიური დამოკიდებულება აქვს და ბურთის გარეშეც. როდესაც ასეთი ტიპის მოთამაშე გვყავს, მწვრთნელისთვის ეს ნამდვილი სიამოვნებაა“,** – თქვა **ლუის ენრიკემ.**

შეგახსენებთ, რომ ხვიჩა კვარაცხელიას ლიგა 1-ის 25 მატჩში 7 გოლი აქვს გატანილი და 4 საგოლე პასი გააკეთა. ყველა ტურნირზე მისი მონაგარი 42 შეხვედრაში 16 გოლი და 9 საგოლე პასია.

„პარი სენ-ჟერმენმა“ 69 ქულა დააგროვა და უახლოეს მდევარ „ლანსს“ 6 ქულით გაასწრო, სეზონის დასრულებამდე კი, 4 ტური რჩება, თუმცა, პსჟ-სა და „ლანსს“ ხუთ-ხუთი მატჩი დარჩათ სათამაშო, რადგან მათი დაპირისპირებაც გადადებულია.

* * *

**წარმატებული აღმოჩნდა თემურ ქეცბაიას დებიუტი თბილისის დინამოს მთავარი მწვრთნელის პოსტზე.**

ზედიზედ 7 მოუგებელი მატჩის შემდეგ თეთრ-ლურჯებმა წყალტუბოში სამგურალს 2:1 სძლიეს.

# ზედიზედ მეორედ



**საქართველოს სარაგბო ჩემპიონატის (დიდი ათი) დიდ ფინალში „ბათუმმა“ შინ ქუთაისის „არესი“ 38:6 დაამარცხა და საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.**

ბათუმელებმა მეტოქეს ხუთი ლელო დაუდეს, გიორგი მარგალიტაძემ დუბლი შეასრულა, ხოლო თითოჯერ გამოიჩინეს თავი პიტერ უილიამსმა, ზურაბ ნინიძემ და თორნიკე გაბელაიამ. ხუთი ლელოდან სამი ვაჟა მიქაძემ გარდასახა (მის ანგარიშზე ერთი ზუსტი საჯარიმო დარტყმაცაა), ორჯერ კი თავი ბექა ნოზაძემ გამოიჩინა. ქუთაისელთაგან ორი ზუსტი ჯარიმა ფურცხვანიძემ შეასრულა.

მატჩის საუკეთესო მოთამაშედ **გიორგი მარგალიტაძე** დაასახელეს.

„ბათუმი“ საქართველოს ჩემპიონი ზედიზედ მეორედ, სულ კი მეექვსედ (1999, 2002, 2019, 2022, 2025, 2026) გახდა, ვერცხლის მედლები „არესმა“ მოიპოვა, ბრინჯაო კი – ქუთაისის „აიამ“.

# ევროლიგა დაასრულა

**თორნიკე შენგელიას ბარსელონასათვის ევროლიგის სეზონი პლეი-ინის ფინალში მანუჩარ მარკოიშვილის გაწვრთნილ მონაკოსთან სტუმრად დამარცხებით დასრულდა – 70:79.**

კატასტროფული სასტარტო პერიოდის შემდეგ – 14:26 კატალონიელებმა მხოლოდ მესამე მეოთხედი წარმართეს ღირსეულად – 18:9, მაგრამ პლეი-ოფის საგზურის მოსაპოვებლად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

რაც შეეხება ჯვაროსანთა კაპიტანს, იგი პარტნიორთაგან შედეგიანობით მხოლოდ 16-ქულიან **კლაიბერნს** ჩამორჩა – 14 ქულა, 7 მოხსნა და 3 ასისტი.

**ხავი პასკუალის** გუნდს ქომაგთა გასახარებლად მხოლოდ ლიგა ენდესა რჩება, სადაც ჯერჯერობით მე-5 ადგილს იკავებს.

**და ბოლოს: მონაკო-ლე მანი 87:83.** ეს მარკოიშვილის პირველი სამწვრთნელო ტიტულია, მისი გუნდი კი ისტორიაში მეორედ დაეუფლა საფრანგეთის თასს.



# საქართველოში საწვავი კვლავ გაძვირდა

**საქართველოში საწვავის ფასები კვლავ განაგრძობს ზრდას, რაც დიდწილად გლობალურ ენერგეტიკულ ბაზრებზე მიმდინარე პროცესებს უკავშირდება.**

ბოლო სავაჭრო დღის მონაცემებით, Brent crude oil-ის ფასი ბარელზე 0.25%-ით გაიზარდა და 105.3 დოლარს მიაღწია. პარალელურად, WTI crude oil-ის ღირებულება 1.51%-ით შემცირდა და 94.40 დოლარი შეადგინა.

WTI ნავთობის ფასის კლებას წინ უსწრებდა თეთრი სახლის განცხადება, რომლის მიხედვითაც, აშშ გეგმავს ელჩების გაგზავნას პაკისტანში, სადაც ირანის ოფიციალური პირებიც იმყოფებიან. ამ ფაქტმა ბაზარზე მოლოდინი გააჩინა, რომ ამერიკასა და ირანს შორის შეჩერებული მოლაპარაკებები შესაძლოა, განახლდეს და ჰორმუზის სრუტეში გადაადგილება ეტაპობრივად აღდგეს.თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით, ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი აბას არაღჩი ვიზიტის ფარგლებში ოფიციალური მოლაპარაკებების გამართვას ამ ეტაპზე არ გეგმავს, რაც ბაზარზე გარკვეულ გაურკვევლობას ტოვებს.



როგორც Trading Economics-ი წერს, მოლაპარაკებების პოტენციურმა პერსპექტივამ კვირის დასაწყისში ფასებში ჩადებული გეოპოლიტიკური რისკის პრემია ნაწილობრივ შეამცირა. თუმცა, საერთო სურათი მაინც განსხვავებულია, კერძოდ, WTI-ის ფასი კვირის განმავლობაში დაახლოებით 13%-ით გაიზარდა, რაც მარტის დასაწყისის შემდეგ ყველაზე მაღალი ნიშნულია. ეს ზრდა განპირობებულია იმით, რომ ნავთობის ერთ-ერთი მთავარი საზღვაო მარშრუტი კვლავ მნიშვნელოვნად შეზღუდულია. ამას ემატება ისიც, რომ აშშ-ის მხრიდან დაწესებული საზღვაო ბლოკადა კვლავ აფერხებს ირანული ნედლი ნავთობის ექსპორტს. ანალიტიკოსების შეფასებით, მაშინაც კი, თუ ჰორმუზის სრუტე სრულად გაიხსნება, ნავთობის მიწოდების ჯაჭვების ნორმალიზებას შესაძლოა, თვეები დასჭირდეს, რაც გლობალურ ენერგეტიკულ ბაზრებზე ფასების ზრდაზე ზეწოლას შეინარჩუნებს.

# როგორ აისახა ნედლი ნავთობის ფასების ზრდა საქართველოზე?!

**საერთაშორისო ტენდენციები პირდაპირ აისახება საქართველოზეც, სადაც საწვავის ფასები მოკლევადიან პერსპექტივაში კვლავ არასტაბილურობისა და ზრდის რისკის ქვეშ რჩება. ქვეყანაში საწვავის ფასების ზრდა მარტის დასაწყისიდან დაიწყო და ამ დრომდე გრძელდება.**

მხოლოდ ბოლო ერთი კვირის მონაცემებს თუ შევხედავთ, სხვადასხვა ტიპის საწვავის ფასი 5-დან 12-თეთრამდე გაძვირდა.

# ვერა და ვერ მოვიშორეთ, ციხის შიგნიდან გამტეხნი!

**სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გენერალურმა ინსპექციამ, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციასთან ერთად, ერთობლივად ჩატარებული ღონისძიების ფარგლებში სუს-ის ყოფილი და ამჟამად შინაგან საქმეთა სამინისტროს მოქმედი თანამშრომელი დააკავა, რომელსაც ბრალი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან საიდუმლო ინფორმაციის გატანაში ედება,** – ინფორმაციას ამის შესახებ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ავრცელებს.

სუს-ის ცნობით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 321-ე მუხლით მიმდინარეობს.

**„სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ყოველთვის განსაკუთრებით მკაცრი და შეუვალი იქნება ნებისმიერი, მცირე მასშტაბის შიდა ინფორმაციის გატანის მიმართაც კი და პირი, რომელიც მსგავს ქმედებას ჩაიდენს, უმკაცრესად იქნება დასჯილი“**, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

# მოლდოველი კრიმინალი ქობულეთში დააკავეს!

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის აჭარის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და რეალიზაციის ხელშეწყობის ბრალდებით, მოლდოვის რესპუბლიკის მოქალაქე – 2000 წელს დაბადებული დ.ჰ. ქობულეთის მუნიციპალიტეტში დააკავეს.**

სამართალდამცველებმა ბრალდებულის დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის შედეგად, ასევე, საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს, მის მიერ მითითებული ადგილებიდან ნივთმტკიცებად ამოიღეს სარეალიზაციოდ გამზადებული განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „მეთადონი“ და ნარკოტიკული საშუალებების დაფასოებისთვის საჭირო მასალები.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე და 260-ე კვარტა მუხლების მე-3 და მე-6 ნაწილების „ა“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს, რაც 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.



## სულთათანა



# დავით მხეიძე

## რედაქციიდან უამრავი მეგობარი დაგხვდება იქ...

დათო მხეიძეც წავიდა...

სანამ შეეძლო, მიწიერ საქართველოს უვლიდა, დიახ, უვლიდა თავისი ძლიერი კალმით, ნაღდი პუბლიცისტური სიტყვით... ყველგან იყო, სადაც იგრძნობდა, რომ სამშობლოსთვის საჭირო იყო, სამშობლოს სჭირდებოდა. ზედმეტად ფიცხიც იყო, სულსწრაფიო, რომ ვიცით თქმა. მუდამ ეჩქარებოდა, ყველაფრის მოსწრება სურდა.

მხიარულიც იყო და დარდიანიც, უფრო მეტად დარდიანი. გულღიაც იყო და გულჩათხრობილიც. თბილისი უყვარდა, ეთაყვანებოდა, ეფერებოდა. საქმითაც ამტკიცებდა და სიტყვითაც. ყველას იცნობდა, ვინც გულში ჩასატევი იყო, ყველა იცნობდა. მტკვრის გაღმა-გამოღმა თბილისი მისთვის არ არსებობდა, ყველგან სამეგობრო ჰყავდა, ყველგან უყვარდათ და ეფერებოდნენ. საოცარი მონატრება იცოდა. დღე და ღამე არ არსებობდა, დაგირეკავდა და გეპატიჟებოდა, თუ არ შეგეძლო, ტელეფონით ისრულებდა გულისნადებს, მეგობრობა მისთვის, ნიაზ დიასამიძის ნათქვამისა არ იყოს, „კრუგლოსუტოჩნი“ იყო.

თუ გაწყენინებდა, ბოდიშის მოხდის ვაჟკაცობაც ჰქონდა – უკან სავალ გზებს არ წვავდა და არ ხერგავდა – იქნებ უკეთესი იყოს ახლიდან დაწყებაო. იწყებდა კიდეც, უფრო მეტად გამოსდიოდა, მაგრამ მაინც იმ დათო მხეიძედ რჩებოდა, როგორიც უნდა ყოფილიყო.

ვერის სასაფლაოზე განმარტოვდებოდა, შვილის საფლავთან საათობით ფიქრობდა, ფიქრობდა და მაინც იმ დათოდ რჩებოდა, როგორიც უნდა ყოფილიყო. „ამოვდივარ და ჩემს საქციელზე ვუყვებიო“... გულის მესაიდუმლედ ჰყავდა. დედა შვილის გვერდით დაკრძალა, საფიცარი დედა – ახლა ჩემი ადგილი დავუთმე დედაჩემსო. საოცრად ერუდირებული კაცი იყო, ენციკლოპედიური ნიჭის პატრონი. არავინ იცოდა, რა განათლება მიიღო, როგორ გაითავისა საქართველოს ისტორია და ლიტერატურა – ყველაფერი მის ნაწერებს ეტყობოდა.

მოიტანდა ნაწერს, სხვადასხვა ფურცლებზე ნაწერს, ნაჩქარევს, ხელგაკრულს და იცოდა, რომ აუცილებლად ნომერში დაუბეჭდავდნენ, რადგან დროული იყო, გადადება, თუნდაც ერთი დღით შენახვა არ შეიძლებოდა. იმ წუთისა იყო, იმ დღისა და იმ მომენტისა...

ჭაბუა ამირეჯიბს აღმერთებდა, არაკაცებს ხლისტებად მოიხსენიებდა და გვიკვირდა, როდესაც მის წერილში ამ სიტყვას ვერ ვიპოვიდით. რეზო ამაშუკელის პოეზია უყვარდა, გრიშა ონიანის პირდაპირობას აფასებდა, არცერთ პარტიას არ გაეკარებოდა და თითქმის ყველა პარტიის „წევრიც“ იყო – კარგს და სამშობლოსთვის საჭიროს თუ დაინახავდა, აქებდა, თუ არადა... მტერი იყო მათი და ხმალამოღებული დამცველიც ტრადიციული წესადათისა, თანაც, ძალიან თანამედროვე.

გარდასულ მეგობრებზე წყდებოდა გული – რამდენს მოასწრებდნენ, რომ დასცლოდათო. ანანია სალუქვაძე, მისი ბავშვობის მეგობარი, მისი დოსტი და სულის ზიარება, ბევრჯერ გაახსენა ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან მკითხველს. მისი ლექსები თითქმის ზეპირად იცოდა.

ბოლოს, თავისი, უკვე მოსწრებული ვაჟისგან შვილიშვილებით რომ დაიხუნძლა, თითქოს ჩაცხრა, ბაბუობის მორგებაც კარგად გამოუვიდა, დადინჯდა, მათ ფერებაში და ფიქრში ატარებდა დროს...

ჯანმრთელობამ უმტყუნა. ბოლო ორი წელიწადი აღარ რეკავდა, არ გვეხმიანებოდა, აღარ წერდა. ასეთი ადამიანები უკვე ფიქრთა საუფლოში გადადიან და...

დათო მხეიძეც წავიდა... წავიდა ზეციურ საქართველოში, სადაც ძალიან, ძალიან ბევრი ელოდა. წავიდა, სადაც მართალნი განისვენებენ.

მშვიდობით, ძმაო, ჯერ მარტო ჩვენი რედაქციიდან უამრავი მეგობარი დაგხვდება იქ, იმდენი და იმაზე მეტიც, რამდენიც აქ გეფერებოდნენ. მშვიდად განისვენე.

**მეგობრები „საქართველოს რესპუბლიკიდან“**

# ენა ქართული

ღამეს გაკვეთავს, ბნელსა და უკუნს,
სინათლის სვეტად დადგება მთაზე,
ყინულს ჩამოხსნის
მყინვარწვერს, უშგულს,
ყვავილს ახარებს რიყეზე, ქვაზე.
ზღვას ააღელვებს,
ქარს დააწყნარებს,
მტრის ხმალს აღმართულს
ვადას გადუტეხს,
კეთილს აღმერთებს,
ბოროტს აწამებს, თავის სიცოცხლეს
ისე გაჩუქებს.
ერთი წუთითაც არ დაფიქრდება,
ყველა ქართველის გულში ჩადგმული,
იყო, არის და მარად იქნება,
ჩვენი ლამაზი ენა – ქართული...

# მეც დავბრუნდები...

გადაიარა წლებმა ქარიშხლის,
თოვდა და წვიმდა, წვიმდა და თოვდა,
სად გაქრა წლები დღესაც არ ვიცი,
ვის რასა ვთხოვდი, ვინ რასა მთხოვდა.

კარგია, როცა ვიყავი ერთ დროს,
თუმცა, ტკბილ-მწარე ცხოვრება მქონდა,
მხოლოდ ერთი რამ მითხარი ღმერთო,
ნუთუ იმ ქვეყნად სუყველა ცხონდა?

მუდმივ სიკვდილსაც გადავურჩები,
რადგან სიცოცხლე მიდის და მოდის,
მაგრამ არ ვიცი, რისთვის და როდის
იმედი მაქვს, რომ მეც დავბრუნდები...

* * *

რისთვის მოვედით ვინ იცის,
რად წავალთ არც ის ვიცითა,
ვინ გაიხარა პირიმზით,
ვინ გაიწირა ვისითა?

ამ სამყაროზე ბევრი რამ
ჯერ კიდევ არა ვიცით რა,
სიცოცხლეს მაინც ვადიდებთ
უფლის რწმენით და ფიცითა...

# დედის ცრემლი

თითქოს ღრუბელს დაეფარა ღრუბელი,
თითქოს კაცი არ ცხოვრობდა კაცითა,
მოდიოდა ბოროტება ულევი,
როცა მამულს დედის ცრემლი აწვიმდა.

ნუთუ იმ დროს ვერ გაიგო ვერავინ
დედის ცრემლი მამულს რისთვის აწვიმდა,
თითქოს ვგრძნობდით, მაგრამ
ვერა ვხვდებოდით, მტერი გულის
ნაწილს როგორ გვაცლიდა.

ცა გადიხსნა, მზემ დაუშვა სხივები,
ახლა მივხვდი, დედა რისთვის ტიროდა,
დაგვრჩა ცრემლი – უსაშველო იმედი
და მამულის სამუდამო ჭრილობა.

**ზურაბ მამულაშვილი**






# ივანე ჯავახიშვილის დღე საპატრიარქოს უნივერსიტეტში

**2026 წლის 23 აპრილს შესრულდა 150 წელი ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში მისი დაარსების დროიდან ყოველ წელს 23 აპრილს აღინიშნება ივანე ჯავახიშვილის დღე. ეს დღე დაარსდა აკადემიკოს როინ მეტრეველის ინიციატივით.**

ივანე ჯავახიშვილის დღე რამდენჯერმე აღინიშნა სამეცნიერო კონფერენციით. 150 წლისთავთან დაკავშირებით ისევ როინ მეტრეველის ინიციატივით გადაწყდა ივანე ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სტატიების კრებულის გამოცემა, რომელშიც განხილული იქნებოდა ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ეტაპები, შეფასდებოდა ქართული ისტორიოგრაფიის პატრიარქის მეცნიერული მემკვიდრეობა. კრებული მომზადდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში.

კრებულში წარმოდგენილია გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა ნაშრომები. კრებული იხსნება როინ მეტრეველი წინათქმით და მისი ნაშრომით „კავკასიოლოგია ივანე ჯავახიშვილის შემოქმედებაში“. კრებულში წარმოდგენილია აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ქართული უნივერსიტეტის რექტორის **ირაკლი ბრაჭულის,** აკადემიკოს **ავთანდილ არაბულის,** აკადემიკოს **ავთანდილ სილაგაძის,** ასევე **ვახტანგ გურულის, გიორგი ალიბეგაშვილის, ივანე ამირხანაშვილის, საბა მეტრეველის, ეკა დუღაშვილის** და სხვათა ნაშრომები.



# ივანე ჯავახიშვილის ძველი ბიუსტის ახალი სიცოცხლე

**ივანე ჯავახიშვილის 150 წლის საიუბილეო კვირეულის ფარგლებში, თსუ-ის პირველ კორპუსში, მისი სახელობის აუდიტორიასთან საზეიმოდ გაიხსნა უნივერსიტეტის დამფუძნებლის ბიუსტი.**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმაციით, ბიუსტი გახსნეს თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა **ჯაბა სამუშიამ** და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა **გივი მიქანაძემ.** ბიუსტის ავტორია ცნობილი ქართველი მოქანდაკე **ბიძინა ავალიშვილი,** რომელმაც ეს ნამუშევარი ჯერ კიდევ 1978 წელს შექმნა.

## ნიკო ნიკოლაძისადმი მიძღვნილი

# საღამო რუსთაველის ეროვნულ თეატრში

**კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, რუსთაველის ეროვნულ თეატრში ნიკო ნიკოლაძისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა,** – ამის შესახებ ინფორმაციას კულტურის სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, საღამოს კულტურის მინისტრი **თინათინ რუხაძე** პრეზიდენტის მეუღლესთან – **თამარ ბაგრატიონთან,** კულტურის მინისტრის პირველ მოადგილესთან – **მაკა გურგენიძესთან** და მოადგილე **გიორგი მირცხულავასთან** ერთად დაესწრო.

„რეჟისორ **გვანცა მეფარიშვილის** მიერ დადგმულ წარმოდგენას **„ამბები ნიკო ნიკოლაძეზე“** თეატრმცოდნე **ნიკოლოზ წულუკიძე** უძღვებოდა.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ მსახიობები: **გიორგი ყიფშიძე, გოგა ბარბაქაძე, ეკა მოლოდინაშვილი** და **კესო დვალიშვილი.**

საღამო მუსიკალურად გააფორმეს პიანისტმა **სანდრო გეგეჭკორმა,** მომღერლებმა – **ნინი ბადურაშვილმა** და **თემურ გუგუშვილმა,** ევგენი მიქელაძის სახელობის მუსიკალური სასწავლებლის გუნდმა და გია ყანჩელის სახელობის თბილისის ახალგაზრდულმა ორკესტრმა **მიხეილ ედიშერაშვილის** დირიჟორობით“.







საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ კობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან კობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„ტორში“**
ზიგზაგის ქუჩა N6

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 30 აპრილს**